ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 28 მარტი, 2018 №73 (7618) ფასი: 50 თეთრი

კახა კალაძე გიორგი ვაშაძეს გაექაჩა

გვ.2

29 მარტიდან 130 ამბავი ლუდი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

გახარია პრემიერად მიდის, ჟუმსიშვილი — სახლში

გვ.3

რა ბედი ელით ჯანელიძეს, სერგეენკოსა და ალავიძეს

ოპოზიციამ ივანიშვილს ევკალიპტის ხე მოუგო

გვ.2

ნინო ბურჯანაძე: „ერთად დავიცვათ ბორჯომის ოპოზიციური საკრებულო“

გვ.4

„ივანიშვილის მიზანია, „ევროპული საქართველო“ მთავარ ოპოზიციურ პარტიად გადააქციოს“

საქართველომ ესტონეთს 2:0 მოუგო

გუშინ, 27 მარტს, საქართველოს ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში ესტონეთი 2:0 დაამარცხა.

საქართველოს ნაკრების მიერ ლიტვის 4:0 დამარცხებამ ბევრი სასიამოვნოდ გააკვირვა, არაკეთილმოსურნეებმა კი თქვეს, რომ ეს მატჩი საეჭვო იყო. ეს რომ ასე არ გახლდათ, ესტონეთთან შეხვედრის დასაწყისმაც ნათლად გვაჩვენა, როდესაც გადახალისებულმა ჩვენმა გუნდმა თავიდანვე აქტიურად შეუტია და ანგარიშიც გახსნა – კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი მცველ ტაბიძეს მიუვიდა, გულზე მიიღო, კოხტად ჩამოიღო და მეერტისის კარის ბადეში მიუჩინა ადგილი.

ამის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ იერიშების მიტანა „ჯვაროსნებს“, კაჭარავამ გაუშვა კარგი შანსი ხელიდან, პაპუნაშვილმა მახვილი კუთხიდან ვერ მოახერხა

მეორე გოლის გატანა. სტუმრები იშვიათი კონტრშეტევებით გვპასუხობდნენ და 23-ე წუთზე მაკარიძემ ბალტიისპირელთა თავდამსხმელის დარტყმული ბურთი მოიგერია.

35-ე წუთზე კი ყაზაიშვილმა ისეთი გოლი გაიტანა, რომელიც დიდხანს ემახსოვრება ფეხბურთის ქომაგს. ეს, უბრალოდ, შედევრი იყო.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

სამართალი გვ.7

პაპუნა უგრეხელიძე: „ეკა მესხიძე სექსუალურ შევიწროებას იმიტომ მაბრალებს, რომ მისი ქმარი, ზურაბ ყიფიანი, სამსახურიდან გავუშვი“

დანაშაულის დაფარვისა და ცრუ ჩვენებისთვის სასჯელი მკაცრდება

რუსთავში დედასა და მის მეგობარ მამაკაცს 15 წლის გოგონას მიმართ ძალადობაში ადანაშაულებენ

ეკონომიკა გვ.6



აზარტული თამაშების კომპანიების დაბეგვრის მექანიზმები არაეფექტურია. ისინი ძალიან ცოტას იხდიან

ბოლნისისა და დმანისის რაიონებში ტყვიის კონცენტრაცია დასაშვებ ნორმებს 10-ჯერ აღემატება

„სამშენებლო სექტორისთვის სავალდებულო დაზღვევის შემოღება მომხმარებლის მოტყუებაა“

ISSN 1987-9385

5 ბანკისთვის მთავარია უძრავი ქონების სარეალიზაციო ფასი, მსესხებლის შემოსავალი ნაკლებად აინტერესებს

8 სკრიპალისა და მისი ქალიშვილის მდგომარეობა მძიმეა

5 მოსკოვმა საქართველოს საზღვრებთან მასშტაბური სწავლება დაიწყო. სროლა ისმის აფხაზეთშიც

10 პოლიტიკური სკანდალი ხელბურთში

ოპოზიციამ ივანიშვილს ევკალიპტის ხე მოუგო

ნათია ხურცილავა

გუშინ, 27 მარტს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ აუქციონზე გამოიტანა ევკალიპტის ჯიშის ხე, რომლის მდებარეობად აღნიშნულია ბათუმი, დასახლება მწვანე კონცხი.

ხის საწყის ფასად მითითებული იყო 7.000 ლარი, აუქციონის დასრულების შემდეგ კი საბოლოო ფასად 20.020 ლარი დასახელდა. აუქციონი „დმანისის გადარჩენის ფონდის“ გამარჯვებით დასრულდა.

ოპოზიცია ვარაუდობდა, რომ ხის შეძენით ბიძინა ივანიშვილი იყო დაინტერესებული, სწორედ ამიტომ აუქციონში მონაწილეობა „დმანისის გადარჩენის ფონდმაც“ გადაწყვიტა. ოპოზიციაში აცხადებენ, მათი ქმედება „ხალხი ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ“ კამპანიის ნაწილია და მიზნად ისახავს, წინ აღუდგეს ივანიშვილის მიერ მთელი ქვეყნის ქონებისა და ბუნების მითვისებას.

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, თამარ კორძაია, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ამ აუქციონზე საუბრობს.

– ოპოზიციამ კიდევ ერთ აუქციონში მიიღო მონაწილეობა. ამჯერად ფინანსთა სამინისტროს მიერ აუქციონზე ევკალიპტის ხე იყო გატანილი. ოპოზიცია მართლაც ხედავს გარკვეულ საფრთხეს? რა იყო ამ შემთხვევაში ოპოზიციის მიზანი?

– ერთი ადამიანის მიერ ასეთი ტიპის გადაწყვეტილების მიღება, ვგულისხმობ იმას, რომ ივანიშვილს შეუძლია, ნებისმიერი ხე იყიდოს, ნებისმიერი ხე გადარგას, არის თვითნებობა და უგულებელყოფა იმ უფლებების, რომელიც ნებისმიერ ადამიანს აქვს, პირველ რიგში, ყველას, ნებისმიერ ადამიანს აქვს ჯანსაღ გარემოში ცხოვრებისა და ყოფნის უფლება. ამას ვამბობ სწორედ იმიტომ, რომ ჯერ არავინ იცის, თუ რა ეკოლოგიურ კატასტროფას გამოიწვევს ასეთი უხეში ჩარევა ბუნებაში. ეს არის პრაქტიკულად ტექტონიკური ცვლილებები არსებულ გარემო-პირობებში.

– საუბარია აუქციონის წესით ხის შესყიდვაზე.

– ის, რომ ივანიშვილის ნებას მონურად მორჩილდება დღევანდელი ხელისუფლება და შეუძლია, 7 ათას ლარად გაყიდოს 300-წლოვანი ხე, ეს, უბრალოდ, წარმოუდგენელია. ხე, რომლის საწყისი ფასი 7 ათასი ლარია, მწვანე კონცხის დასახლებაში ხარობს. ამ 300 წლის განმავლობაში ამ ევკალიპტის ხემ რამდენ შემოსევას გაუძლო, რამდენ ხელისუფლებას გაუძლო და უცებ აღმოჩნდა, რომ ერთ ადამიანსა და მის ნებას ვერ უძლებს.

– რას ითვალისწინებს თქვენი, არასაპარლამენტო და საპარლამენტო ოპოზიციის გეგმა?

– ჩვენ, პოლიტიკურმა პარტიებმა, დავიწყეთ კამპანია, რომ ეს პროცესი შევაჩეროთ! თუ თანასწორობას ქადაგებს დღევანდელი ხელისუფლება და მართლაც თანასწორი ვართ ამ ქვეყნის ყველა მოქალაქე კანონის წინაშე, მაშინ მე ერთი იდეით გამოვდივარ: რუსთაველის გამზირზე არსებული ზეთისხილის ხე მინდა შევიძინო და გამოაცხადოს თბილისის მერიამ აუქციონი, იქნებ ვიყიდო კიდეც, მაგრამ არა, სწორედ იმ ხეებზე ცხადდება აუქციონი, რომლებიც კონკრეტულ ადამიანს უნდა და მიაქვს სკვერში. არსებითი მნიშვნელობა საერთოდ არ აქვს, საკუთარ ეზოში მიგაქვს თუ პარკს აშენებ საზოგადოებისთვის. ეს მართლაც მეორეხარისხოვანია.

– თქვენ უფრო დამოკიდებულებაზე საუბრობთ, ვიდრე ქმედებაზე?

– რა თქმა უნდა, დამოკიდებულებაა აქ მთავარი და უმთავრესი. ეს დამოკიდებულება აჩვენებს, რომ მას შეუძლია ყველაფერი, რომ ის არის ქვეყანაში პირველი ადამიანი, რომ ის არის ზეადამიანი. ამაზეა ამ შემთხვევაში საუბარი. თუ დასჭირდა მას, მატარებელს გააჩერებს, რომ ხე გადაიტანოს. ეს არის ღირსების შემლახავი მოპყრობა ადამიანების მიმართ, რომლებიც იმ წუთში თუნდაც იმ მატარებლით მგზავრობდნენ. ამიტომ ეს ფორმა, რომელიც პოლიტიკურმა პარტიებმა ამ შემთხვევაში მოიფიქრეს, პროტესტის ფორმაა.

ოპოზიციური პოლიტიკური ძალები იმიტომ ერთვებიან ამ პროცესში, რომ საზოგადოებას აჩვენონ, არც ხე და არც ეს ქვეყანა არ არის ერთი ადამიანის.

რაც შეეხება ქმედით ნაბიჯს, ეს არის ქმედითი ნაბიჯი, როდესაც აუქციონში ერთვები და ხეს გადაარჩენ, რომ არ მოთხარონ. ეს ამ შემთხვევაში არის მნიშვნელოვანი, რადგან შედეგზეა ორიენტირებული.

– ხმაურიანი იყო დედაქალაქის განვითარების გენგეგმის განხილვა. თბილისმა რამდენიმე მერი გამოიცვალა, მაგრამ ჯერ კიდევ არ გვაქვს გენერალური გეგმა. ფიქრობთ, შეიძლება კიდევ გადავადდეს მისი მიღება?

– როდესაც ქალაქს აქვს თავისი გენგეგმა, ეს უკვე ნიშნავს, რომ ქალაქი სწორედ ამ ჩარჩოში, ამ პირობებით ვითარდება. გენგეგმა არის ქალაქის განვითარების უპირველესი პირობა, მაგრამ, როდესაც დისკუსია მიმდინარეობს, თუ როგორი გვინდა იყოს ჩვენი დედაქალაქი, მისი მომავალი და ამ დროს პირდაპირ შეურაცხყოფასა და ძალადობაზე გადასვლა ხდება, როგორც მოქალაქეს, არ მიტოვებს არანაირ შთაბეჭდილებას, რომ შეიძლება ეს ქალაქი ოდესმე განვითარდეს და რაღაც შეთანხმებას მივაღწიოთ.

– გარკვეული პერიოდი უკვე გავიდა, რაც კალაძე თბილისის მერია. როგორ შეაფასებთ ამ პერიოდს?

– კალაძე ცდილობს, როგორც მერი, რაც გასაკეთებელია, გააკეთოს, შეეჭიდოს, მაგრამ მე არ ვფიქრობ, რომ ან 100 დღეში, ან 5 თვეში ამ ქალაქს რამე დაეტყოს უკეთესობისკენ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ პროცესები ძალიან ღრმად არის წასული. ალბათ, უფრო მეტი დრო იქნება საჭირო იმის შესაფასებლად, რამდენად ეფექტური მერია კალაძე. მაგალითისთვის შეიძლია დაგისახელოთ თუნდაც ერთი პრობლემა, თბილისში არსებული მოძრაობა, მანქანების გადატვირთულობა შეუძლებლად მიმაჩნია, მარტივად და ერთი ხელის მოსმით მოაგვარო. ეს, უბრალოდ, წარმოუდგენელია. ასევე ძალიან დიდი პრობლემა მგონია დედაქალაქში არსებული ჰაერის დაბინძურება. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ გარკვეული დროა საჭირო, დავაკვირდეთ, საით გადაიხრება ეს პროცესები, ეს იქნება უკან ნაბიჯი თუ წინ, ვნახოთ.

კახა კალაძე გიორგი ვაშაძეს გაექაჩა

„ბოზი ქალებივით ნუ წიკვინებთ!“

შორენა მარსაგიშვილი

თბილისის გენგეგმის განხილვა დიდი ნივიერ-ჯივილის ფონზე წარიმართა. სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ ჯონსტიტუციელ ნოტებზე გადანყობილი ჯახა ჯალაძეს ჯი ნყობილებიდან გამოვიდა. თავიდან ის ოპოზიციის განცხადებებს ირონიული ჩეჩლიჯებით პასუხობდა, ბოლოს ჯი ისე გამწარდა, რომ გიორგი ვაშაძეზე გაინია, არადა, მერად არჩევის შემდეგ ამბობდა, მაგასთან უნდა ვითანამშრომლო.

გენგეგმის განხილვაზე, გენგეგმის გარდა, სხვა რამეებზეც იყო საუბარი. დედაქალაქის მერს მილანში „პარიკმახერთან“ გადაღებული სელფი გაახსენეს. ოპოზიციონერ დეპუტატ ლევან ხაბეიშვილის თქმით, კალაძე თავის მოადგილე ილია ელოშვილთან და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში კონსულტანტთან ერთად ლუქსემბურგში, მილანსა და ვარშავაში იმყოფებოდა.

სამივლინებო დოკუმენტაციით კი ცნობილია, რომ მგზავრობა დაახლოებით 14.500 ლარი დაჯდა.

დეპუტატის თქმით, ცნობილია, თუ ვის შეხვდნენ ისინი ლუქსემბურგსა და ვარშავაში, თუმცა, ვისთან შესახვედრად გაემგზავრა თბილისის მერი ლუქსემბურგიდან მილანში, უცნობია. ხაბეიშვილი ამტკიცებს, რომ მერი იქ თმის გასაკრეჭად გაემგზავრა.

– მილანში წერია, რომ პოტენციურ ინვესტორს შეხვდა. ვერც ჩამოსვლის შემდეგ დაადასტურა და მიუთითა ის ინვესტორი, რომელსაც შეხვდა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სამი ადამიანი იყო საჭირო, საქმიან შეხვედრას დასწრებოდა 20 თებერვალს, ხოლო 28 თებერვლის ბრძანებით ვკითხულობთ, რომ მილანში მხოლოდ კახი კალაძე იყო. ის, რომ მილანში მხოლოდ კალაძე იყო, ის, რომ საქმიანი შეხვედრა არ ჰქონია, ის, რომ თმა შეიჭრა კალაძემ მილანში, სხვადასხვა გარემოებით დასტურდება თუ საბუთებით. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ ადრე მოსკოვში ვიღაც ბორშჩის საჭმელად დაფრინავდა, კალაძე მილანში თმების გასაკრეჭად დაფრინავს, მათ შორის ბიუჯეტის ხარჯზე, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

სასტუმრო „ბილტმორში“, სადაც დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საჯარო განხილვა ხმაურით მიმდინარეობდა, დარგის სპეციალისტებიც იყვნენ მიწვეული, თუმცა მათი მოსმენა არავის უცდია. საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია კალაძესთან შევიდა კონფრონტაციაში.

ხმაური „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერ ელენე ხოშტარიას გამოსვლას მოჰყვა. კალაძემ მას საუბარი შეაწყვეტინა და მოუწოდა, პროფესიონალებისთვის მიეცა დრო. ოპოზიციონერი მერს არ შეეპუა და ჯიუტად ითხოვდა, საუბარი დამასრულებინეო.

– არ მოგცემთ უფლებას, ამ საუბრით პოპულისტური აზრები გავრცელოთ, – მიმართა კალაძემ ხოშტარიას.

ხოშტარია არ ჩუმდებოდა და ამით სიტუაციას კიდევ უფრო ძაბავდა. მას „ახალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ვაშაძე გამოესარჩლა.

კალაძის დასაცავად საკრებულოს ახალგაზრდა წევრმა, მეოცნებე ვახტანგ შაქარაშვილმა აღიმაღლა ხმა.

– ოპოზიციას საკმარისი დრო ჰქონდა იმისთვის, რომ ესაუბრა და ეს დრო არ გამოიყენა, – განაცხადა შაქარაშვილმა.

ამის პასუხად გიორგი ვაშაძემ აღნიშნა, რომ შაქარაშვილი მათ საუბარს არ უსმენდა.

ამან ახალგაზრდა დეპუტატი გააცეცხლა და შეურაცხყოფაზე გადავიდა. მან გიორგი ვაშაძესა და ელენე ხოშტარიას მიაძახა:

– ბოზი ქალებივით წიკვინებთ!

კახა კალაძეს ბოზის ეპითეტი არავის მისამართით არ გამოუყენებია, მაგრამ ხოშტარიას დამცველ ვაშაძეზე გაიწია. მათი გაშველება ხოშტარიას მოუხდა.

ელენე ხოშტარიას თქმით, კალაძე, რომელიც ყველასთან თანამშრომლობას აპირებდა, პირველივე ტესტის დროს ჩაიჭრა.

– თბილისის მერი წამოხტა, გამაწყვეტინა, იძალადა და არაფრით გაჩერდა, სანამ არ ჩაახშო ჩემი საუბარი, ანუ პირველივე კრიტიკაზე მინიმალურ ტესტს იმისას, რომ კრიტიკა მოისმინოს, სადაც მიმიწვია თვითონ, ვერ გაუძლო. მაშინ თქვან, რომ არ აპირებენ არავისთან ლაპარაკს და ისე აგრძელებენ პროცესს.

მიმიწვია, გამაწყვეტინა, შეურაცყოფა მოგვაყენა მთლიანად ოპოზიციას და, რაც მთავარია, კალაძე ფიზიკურად გაექაჩა გოგიტა ვაშაძეს, სადაც მე მომიწია გაშველება. წარმოგიდგენიათ თქვენ? ქალაქის მერი საჯარო განხილვაზე თავს ესხმის ოპოზიციის წარმომადგენელს, – განაცხადა მოგვიანებით მედიასთან საუბარში ხოშტარიამ.

საინტერესო პოზიცია დააფიქსირა ვახტანგ შაქარაშვილმა. მან ელენე ხოშტარიას საჯაროდ მოუხადა ბოდიში, მაგრამ იქვე დაამატა, რომ მისი რეაქცია ადეკვატური იყო:

– მინდა მას მოვუბოდიშო და დავადასტურო, რომ მისი მისამართით ჩემი შეურაცხყოფა ნამდვილად არ ყოფილა. რაც შეეხება იმ ადეკვატურ რეაქციას, რომელიც მე მქონდა იმ უნიჭო პოლიტიკური წარმოდგენის მიმართ, რომელიც გამართა ბატონმა ვაშაძემ, რომელმაც ნამდვილად ქუჩური მეთოდებით იჩხუბა, თითქოს ჩვენ ვყოფილიყავით სადმე ბნელ კუთხეში, ერთი სიტყვაც არ უსსენებია მას გენერალურ გეგმაზე, – განაცხადა შაქარაშვილმა.

თბილისის მერის განცხადებით კი გენერალური გეგმის დოკუმენტის განხილვისას ოპოზიცია არეულობას ცდილობდა და ოპოზიციის წარმომადგენელთა განცხადებები ვიწრო პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარეობდა.

– კონკრეტული პოლიტიკოსების მხრიდან მაქსიმალური მცდელობა იყო, რომ შემოეტანათ არეულობა. არ დაეცადეს პროფესიონალებს, რომლებსაც შესაბამისი გამოცდილება და კვალიფიკაცია აქვთ. მოვისმინეთ ლამაზი სადღეგრძელოები, ლექსები და მე მათ ავუხსენი, რომ ქორწილში არ ვიმყოფებოდით. აქ მიმდინარეობდა ქალაქისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტის განხილვა. ისინი გამოდიან თავიანთი ვიწროპარტიული ინტერესებიდან. არცერთი პოლიტიკოსი და პოლიტიკური პარტია არ იყო ჩართული, იმის მიუხედავად, რომ სულ ვამბობდი – ჩვენ ვქმნით სპეციალურ ჯგუფს და თქვენც ჩაერთეთ ამ მუშაობაში-მეთქი, თუმცა მსგავსი არაფერი მომხდარა, – განაცხადა კალაძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რომან გოცირიძე: „ოცნების“ კაცებმა „ოცნების“ ქალები დაჩაგრეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს.

– ბატონო რომან, ბოლო პერიოდია აქტიურად მიდის საუბარი იმის თაობაზე, რომ უახლოეს პერიოდში მინისტრთა კაბინეტში სერიოზული ცვლილებები მოხდება. ეს ყველაფერი საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირდება?

– მთავრობა შეიცვლება მაშინ, როდესაც ამას საჭიროდ ჩათვლის ივანიშვილი. მომწიფებულია თუ არა ეს სიტუაცია, უმჯობესია ეს ექსპერტებმა გააანალიზონ. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ მოიქცევა ივანიშვილი წინასაარჩევნოდ. გადაწყვეტს თუ არა, არჩევნების წინ ახალი გუნდი აჩვენოს.

– სჭირდებათ ამ ეტაპზე ეს ცვლილებები?

– თუ გავითვალისწინებთ საარჩევნო ტაქტიკას, ბევრ ქვეყანაში ასე აკეთებენ, რომ განახლებული იერის მთავრობა ზურგს უმაგრებს ხოლმე საპრეზიდენტო კანდიდატს. ამიტომ ამას გააკეთებენ თუ არა, ეს უკვე დამოკიდებული იქნება ივანიშვილზე და არა პარტიაზე. პარტია შესაბამის გადაწყვეტილებას ვერ ღებულობს. ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ივანიშვილმა ხელები დაიბანა და მიანდო გადაწყვეტილების მიღება ქალთა კვოტირებასთან დაკავშირებით...

– თუმცა ჩავარდა ეს საკითხი...

– დიახ. დილით პრემიერ-მინისტრმა და პარტიის თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, რომ ის უჭერს მხარს ქალთა კვოტირებას, კალაძემაც დაუჭირა მხარი. საღამოს კი პარტიამ თავისი ლიდერის მოწოდება ჩააგდო. ამ საკითხთან დაკავშირებით შუაზე გაიყო „ქართული ოცნების“ პარლამენტი.

– ეს რაზე მიგვანიშნებს?

– ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, როცა არ იყო ზემოდან მკაცრი მითითება, დეპუტატებმა გაილაღეს და ამ გალაღების მთავარი სტიმული და მთავარი მოტივი იყო საკუთარი სამომავლო პოზიციების გამყარება. ასე რომ, „ოცნების“ კაცებმა დაჩაგრეს „ოცნების“ ქალები!

– არ იყო ეს სწორი გადაწყვეტილება?

– საბოლოო ჯამში ვიტყვი, რომ ეს არ იყო კარგი გადაწყვეტილება, კვოტირების საკითხი უნდა გასულიყო. ეს უკეთესი იქნებოდა ქართული რეალობისათვის. საქართველოში ქალი არის დაჩაგრული და ეს არის ორჯერ ორი ოთხი! ეს იკვეთება ძალიან ბევრი მიმართულებით. თუნდაც ძალიან ბევრად ჩამორჩება ქალის ხელფასი მამაკაცისას. ძალიან დიდია ქალის ტვირთი, როგორც საოჯახო, ისე საზოგადოდ და, რაც მთავარია, საქართველო არის ქვეყანა, რომელმაც არ გაიარა საზოგადოების განვითარების ბუნებრივი პროცესი. ავცდით კაპიტალიზმს და მივიღეთ პირდაპირ ფეოდალური სახელმწიფო, სადაც ადამიანის უფლებებზე საუბარიც არ შეიძლება. ეს კავკასიური ქვეყანა სამმაგად ჩაგრავს ქალს და ქალი ახსენდება მხოლოდ სუფრაზე! დღეს ბევრი რამ არის კანონის ძალით გასაკეთებელი.

– იყო ამის მცდელობა და არ გამოვიდა?

– დიახ, ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯის გადადგმა მოინდომა პარლამენტმა, თუმცა ეს არ იყო პარლამენტის სურვილი, ეს იყო ქალთა მოძრაობის და ზოგადად ქართული საზოგადოების აქტიურობის დამსახურება. 37 ათასი ქალი იყო ამის ინიციატორი.

– მაგრამ ჩავარდა. რატომ არ აწყობდა ამ საკითხის გატანა „ოცნებას“?

– ჩავარდა იმიტომ, რომ ისინი გადაწყვეტილებას ღებულობენ ან ივანიშვილის მითითებით, ან პრაგმატული მოსაზრებებით. პრაგმატული კაცების ნაწილმა, რომლებიც ძირითადად მაჟორიტარები არიან, აჯობა პრაგმატული ქალების ნაწილს.

– თქვენ თუ უჭერდით მხარს?

– ნაციონალურმა მოძრაობამ დაუჭირა მხარი ამ იდეას. ნაციონალური მოძრაობაა ერთადერთი პარტია, რომელმაც მიიღო საკუთარ წესდებაში ის ჩანაწერი, როდესაც ყველა დონის არჩევნებში 10-დან 3 უნდა ყოფილიყო ქალი. დღეს ეს ნორმა მოქმედებს და კანონიც რომ არ იყოს მიღებული, ჩვენ ყველა არჩევნებში ასე მოვიქცევით. ადგილობრივ არჩევნებშიც ასე გავაკეთეთ. შესაძლებელია, თავიდანვე ასე მკაცრად დაწყებაც არ იყო საჭირო.

– სიმკაცრეში რას გულისხმობთ?

– ვინაიდან 10-დან 5 ბევრია, 10-დან 3 შესაძლოა ნორმალური ყოფილიყო. როდესაც ამ კანონის ინიციატორები ამბობენ, რომ დაახლოებით ამნაირი შემადგენლობა ისედაც არის საქართველოს პარლამენტში, ვგულისხმობ 10-დან სამს, ნუ გონია ვინმეს, რომ ეს არის ბუნებრივი პოლიტიკური შერჩევის გზით. იმიტომ, რომ სიას საქართველოში ყოველთვის ადგენენ კაცები, კაცები ყოველთვის არიან ლიდერები. ამ სიაში ქალები ჩაწერა ივანიშვილმა და ეს სია არის კვოტირებული ივანიშვილის მიერ. იმიტომ, რომ მთელი ინტელექტუალური ნაწილი ჩამოცილდა „ქართულ ოცნებას“ და რეალურად პარტია დარჩა ყოველგვარი ინტელექტუალური რესურსების გარეშე და მათ დაიწყეს ახლის ძიება. ივანიშვილის დევიზი იყო, რომ გვინდა ჩვენ ინგლისურის მცოდნეები და ჩაწერეს ინგლისურის მცოდნე ქალები. ამიტომ ეს სია კვოტირებული კანონით კი არ არის, არამედ ივანიშვილის მიერ.

– ნაციონალების სიაშიც იყვნენ ქალები, ვინ ადგენდა ამ სიას?

– ეს სიაც კვოტირებული იყო სააკაშვილის მიერ. თუმცა ამ შემთხვევაში სააკაშვილს ამოძრავებდა ევროპული ღირებულებები და ქალის როლის გაძლიერება პარტიაში და ზოგადად ხელისუფლებაში. ბევრი მინისტრი ქალი იყო მაშინ ხელისუფლებაში და ესეც იყო მიხეილ სააკაშვილის პირადი სურვილი. როდესაც ქალები ამბობენ, რომ მესამედი რაოდენობა ისედაც არის პარლამენტში, ნუ გგონიათ, რომ ეს რეალური კონკურენციის შედეგია.

– რისი შედეგია?

– ეს არის ამა თუ იმ პოლიტიკური ლიდერის გადაწყვეტილების შედეგი. დღეს კი ჩვენ გვინდა სტაბილური, კანონით დარეგულირებული და ეს შეიძლება იყოს 10-დან 4, შეიძლება იყოს 10-დან 3. ამასაც დავუჭერთ მხარს.

– ანუ თუ არ არის ივანიშვილის თანხმობა, „ოცნება“ ვერ ახერხებს ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტას?

– დიახ, ასეა. თუ დავუბრუნდებით მთავრობის შეცვლის საკითხს, ეს იქნება დამოკიდებული იმაზე, რამდენად ჩათვლის ივანიშვილი საჭიროდ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მისი კანდიდატი იყოს. თუ ივანიშვილი ჩათვლის, რომ წარმატების მიღწევა ადვილია ზედმეტი სვლების გარეშე, მაშინ ამას არ გააკეთებს, თუ არა და შეცვლის ამ მთავრობას. თუმცა არა იმ მასშტაბით, როგორც ეს პრესაში იწერება.

ჩვენ ვნახეთ უკვე ივანიშვილის სვლა, როდესაც გახარია და ბახტაძე რაღაც ბალანსის შესანარჩუნებლად ჩაუსვა ამ მთავრობას. არც გახარიას და არც ბახტაძის დანიშვნა არ დასიზმრებია „ქართული ოცნების“ რომელიმე პოლიტსაბჭოს წევრს. მთავრობის ფორმირებას ახდენს პირადად ივანიშვილი.

გახარია პრემიერად მიდის, ქუმსიშვილი – სახლში

რა ბედი ელით ჯანელიძეს, სერგეენკოსა და ალავიძეს

შორენა მარსაგიშვილი

„ქართული ოცნებაში" საჯაღრო ცვლილებებისთვის ემზადებიან. ჰამდენიმე დღის წინ „ახალი თაობა" უკვე წერდა, რომ მათი პრეზიდენტობის კანდიდატი პრემიერი გიორგი ყვირიკაშვილი იქნება. ეს ინფორმაცია „ოცნებაში" სხვა მედიასაშუალებებსაც დაუდასტურეს.

გიორგი კვირიკაშვილის გარდა, მთავრობიდან წასვლა კიდევ ბევრს მოუწევს. გავრცელებული ინფორმაციით, თეა წულუკიანი საფრანგეთში საქართველოს ელჩად დაინიშნება, მის ადგილს კი პარლამენტის ვიცესპიკერი თამარ ჩუგოშვილი დაიკავებს.

ჩუგოშვილს იუსტიციის მინისტრობისთვის რომ ამზადებდნენ, ამის შესახებ „ახალ თაობას“ ჯერ კიდევ 2 წლის წინ უთხრა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე საპარლამენტო არჩევნების დასრულების შემდეგ აცხადებდა, რომ სწორედ ამის გამო თქვა ჩუგოშვილმა უარი პარლამენტის თავმჯდომარის პოსტის დაკავებაზე.

გავრცელებული ინფორმაციით, შეიცვლება შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილიც. „ოცნების“ კულუარებში ამბობენ, რომ მას შოთა შალელაშვილი შეცვლის.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ გიორგი კვირიკაშვილს ვიცეპრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილი შეცვლიდა. მისი კანდიდატურა მაშინაც აქტუალური იყო, როცა ასპარეზზე მამუკა ბახტაძე და გიორგი გახარია გამოვიდნენ. „ოცნებაში“ ადასტურებენ, რომ მთავრობის მეთაურის პოსტს ერთ-ერთი მათგანი დაიკავებს.

რაც შეეხება დიმიტრი ქუმსიშვილს, სააგენტო „თაიმერის“ ცნობით, ის მთავრობას საერთოდ დაემშვიდობება. „თაიმერს“ „ოცნებაში“ განუცხადეს, რომ ეს ადამიანი დავით ბეჟუაშვილის ლობირებას გადაჰყვა. ქუმსიშვილი რომ ბეჟუაშვილს ლობირებდა, ამის შესახებ ყოფილმა პოლიტდევნილმა გიგლა ბარამიძემ „ახალ თაობასთან“ საუბარში ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ

განაცხადა.

„ოცნების“ კულუარებში „თაიმერს“ ისიც უთხრეს, რომ თანამდებობას გიორგი კვირიკაშვილის ფავორიტი, ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე დატოვებს.

რამდენიმე კვირის წინ ალავიძეს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ოთარ დანელია დაუპირისპირდა. მან მინისტრის მიმართ პრეტენზიები პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამოთქვა.

გავრცელებული ინფორმაციით, თანამდებობას დატოვებს ქართული დიპლომატიის მამა, მიხეილ ჯანელიძე. ის შესაძლოა მისმა მოადგილე დავით ზალკალიანმა ჩაანაცვლოს.

„ოცნებაში“ დავით სერგეენკოს შეცვლასაც არ გამორიცხავენ. სხვათა შორის, აქტიურად მიმდინარეობდა საუბარი იმაზე, რომ „ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი ის იქნებოდა. „თაიმერს“ მმართველ გუნდში განუცხადეს, რომ სერგეენკო შესაძლოა ვალერი კვარაცხელიამ შეცვალოს. ეს უკანასკნელი ცოტა ხნის წინ ბელორუსში საქართველოს ელჩად დაინიშნა.

პრემიერის პოსტზე ამ ეტაპზე გიორგი გახარიას კანდიდატურა დაწინაურდა. „ოცნებაში“ შს მინისტრად მის სავარაუდო შემცვლელზეც საუბრობენ. შს მინისტრის პოსტს კახაბერ საბანაძე დაიკავებს. მას ამჟამად შს მინისტრის მოადგილის პოსტი უკავია.

საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე, როგორც ამბობენ, სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურაც განიხილება. მას ამ კუთხით მუშაობის გამოცდილება აქვს, მაგრამ ივანიშვილს მასთან დაკავშირებით სხვა გეგმები აქვს. ის ზურაბიშვილს პრეზიდენტობის კანდიდატად განიხილავს.

მმართველ გუნდში ცდილობენ, ივანიშვილს ეს გადაწყვეტილება შეაცვლევინონ. სალომე ზურაბიშვილის მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ ეს ადამიანი ძალიან ამბიციური და კონფლიქტურია.

წლების წინ მას საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა და ამ თანამდებობიდან დიდი სკანდალით წავიდა. „ოცნებაში“ ივანიშვილს გიორგი მარგველაშვილის მაგალითსაც უხსენებენ, რომელიც პრეზიდენტობამდე ამბობდა, პლასტილინი ვარ, რა ფორმასაც მომცემთ, იმას მივიღებო, მაგრამ, გახდა თუ არა პრეზიდენტი, „ოცნების“

მამა-მარჩენალის წინააღმდეგ წავიდა.

ამ მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, ივანიშვილი გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს. თუმცა, როგორც „თაიმერს“ „ოცნების“ კულუარებში უთხრეს, ზურაბიშვილის კანდიდატურა ივანიშვილს რამდენიმე კუთხით აწყობს:

– მათ შორის, იმის გამოც, ზურაბიშვილი ქალია და ივანიშვილი ამით გენდერულ თანასწორობაზე აპირებს აქცენტის გაკეთებას, ასევე, სალომე ზურაბიშვილი ბევრ საკითხში ეთანხმება ივანიშვილის პოლიტიკას. მთავარი მოტივი კი ის არის, რომ სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთის მოქალაქეა.

წყაროს ინფორმაციით, სამომავლოდ ივანიშვილს, რომელიც ასევე საფრანგეთის მოქალაქეა, საფრანგეთში რამდენიმე საგადასახადო საქმეზე დიდი სასამართლო განხილვა ელოდება, ზურაბიშვილის დანიშვნით კი ფიქრობს, გარკვეული დივიდენდების მოპოვებას. აქვე წყარო არ აზუსტებს, რა ტიპის დივიდენდებზეა საუბარი.

ნინო ბურჯანაძე: „ერთად დავიცვათ ბორჯომის ოპოზიციური საკრებულო“

„ივანიშვილის მიზანია, „ევროპული საქართველო“ მთავარ ოპოზიციურ პარტიად გადააქციოს“

შორენა მარსაგიშვილი

ხატომ ახის ივანიშვილი ოლიგარქებიდან ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში, ხას აპირებს „ლიდერთა საბჭო" ერთიანი ოპოზიციური საკრებულოს შესანარჩუნებლად, მიიღებენ თუ არა შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას, ეყოლება თუ არა ოპოზიციას საპრეზიდენტო არჩევნებში ერთიანი კანდიდატი, დააყენებს თუ არა საკუთარ კანდიდატურას? – ამის შესახებ „ახალ თაობას" დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი ნინო ბურჯანაძე ესაუბრება.

– პირველ რიგში, ბორჯომის საკრებულოში განვითარებულ მოვლენებზე მინდა გკითხოთ. 28 მარტს იქ უნდა ჩატარდეს საბოლოო კენჭისყრა, ვინ იქნება საკრებულოს თავმჯდომარე. რამდენადაც ვიცით, ნაციონალური მოძრაობის ლიდერები ჩადიან ბორჯომში. სავარაუდოდ, ეს იქნება ხმაურიანი კენჭისყრა. სხვა ოპოზიციური პარტიის ლიდერები არ შეუერთდებით?

– მე, ისევე, როგორც ძალიან ბევრ ადამიანს, ნაკლებად მაინტერესებს ნაციონალური მოძრაობის გეგმები. „ლიდერთა საბჭოს" აქვს თავისი ხედვა ბორჯომში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით და ჩვენ გვაქვს სერიოზული ეჭვი, რომ ბორჯომში ხელისუფლება თავისი მიზნის მიღწევას ოპოზიციურ პარტიასთან გარიგების გზით ცდილობს.

ყოველ შემთხვევაში, თუ თავად პარტიასთან არა, ცხადია, რომ „პატრიოტთა ალიანსის" გარკვეული წევრები სახელისუფლებო თამაშს თამაშობენ. რამდენად არის ამაში ჩართული თავად „პატრიოტთა ალიანსი", როგორც პარტია და მისი ხელმძღვანელობა, ეს გამოჩნდება უახლოეს დღეებში იმის მიხედვით, თუ როგორ განვითარდება მოვლენები.

ნაციონალური მოძრაობისგან დამოუკიდებლად „ლიდერთა საბჭომ" ამ თემასთან დაკავშირებით წინა კვირას იმსჯელა. ჩვენ მოვუსმინეთ ლეიბორისტული პარტიის აქტიურ წევრს ბორჯომის საკრებულოში, რომელიც პირველი დაუპირისპირდა ამ გარიგებას, რომელსაც ადგილი აქვს და „ლიდერთა საბჭომ" მიიღო გადაწყვეტილება, ხელი შეუშალოს ხელისუფლების მორიგ თავხედობას. ბორჯომის საკრებულო ერთადერთია, სადაც ოპოზიცია ლიდერობდა დღემდე, მაგრამ „ოცნებამ" ესეც ვერ აიტანა.

ჩვენ არ გვაქვს თვითმიზანი, ვინმეს დავუპირისპირდეთ ან ვინმეს სატელიტობა დავწამოთ, მაგრამ ჩვენი მიზანი ნამდვილად არის, დავიცვათ ერთადერთი ოპოზიციური საკრებულო, რომელიც არის საქართველოში.

– რას გააკეთებენ „ლიდერთა საბჭოში" შემავალი ოპოზიციური პარტიები ვანი-ხონის შუალედურ არჩევნებზე? თუ მიიღეთ უკვე გადაწყვეტილება ბოიკოტის შესახებ? თქვენ ამაზე საუბრობდით ადრე, თუ ბოიკოტს აცხადებთ, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ოპოზიციამ ხელისუფლებას ისევ დაუთმო?

– არავის არაფერი დაუთმია. რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ანუ ბოიკოტი – ეს არის ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა. ჩვენთვის სრულიად ნათელია, რომ ვანი-ხონის არჩევნებში ხელისუფლება გააკეთებს აბსოლუტურ მობილიზაციას და იქნება აბსოლუტური ზეწოლა, მოსყიდვა და ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ სახელისუფლებო კანდიდატმა გაიმარჯვოს შუალედურ არჩევნებში.

„მიწისძვრისგან გაუბედურებულმა ჰაიტის კუნძულმაც კი არ აირჩია ოლიგარქი მმართველად“

ჩვენ, „ლიდერთა საბჭო", ერთობლივ განცხადებას გავაკეთებთ ამის შესახებ. ასეთი ტიპის არჩევნები ბოიკოტის ღირსია და სხვა არაფრის. ერთადერთი პარტიაა „ევროპული საქართველო", რომელიც ბიძინა ივანიშვილის თამაშში ჩაერთო და მონაწილეობს ვანი-ხონის შუალედურ არჩევნებში. მათ ძალიან კარგად იციან, რომ თუ არ გაურიგდებიან ბიძინა ივანიშვილს და ბიძინა ივანიშვილი თუ არ გასცემს განკარგულებას, ვერც კაკო ბობოხიძის ფაქტორი უშველით ვანი-ხონში. თუმცა ეს ფაქტორი ნამდვილად არსებობს, ხონში კაკო ბობოხიძეს დასაყრდენი ნამდვილად აქვს, მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი გამარჯვებისთვის, მით უფრო, როდესაც ხონის რაიონს ვანის რაიონი მიუერთდა, რაც ასევე ხელისუფლების მხრიდან თავის დროზე ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართული ეშმაკური გეგმა იყო, რადგან ჩვენ მაშინაც ვამბობდით, რომ ყველა გაერთიანებულ რაიონში ხელისუფლებას ყოველთვის აქვს პრიორიტეტი, ძალიან ძნელია, იპოვო ადამიანი, რომელიც ერთნაირად პოპულარული და მისაღები იქნება მომიჯნავე რაიონებისთვის.

არ გამიკვირდება, ბოკერია და ივანიშვილი გარიგდნენ, ჰქონდეთ მცდელობა, ნაციონალური მოძრაობა მეორე პლანზე გადასწიონ და „ევროპული საქართველო" გახადონ მთავარ ოპოზიციური ძალად. თითქოს ნაციონალური მოძრაობა, რომელიც ახლა მელიათი და ბოკუჩავათია წარმოდგენილი, უფრო ნაციონალური მოძრაობაა, ვიდრე ბოკერია, ბაქრაძე, უგულავა და მერაბიშვილი. ეს ხომ სასაცილოა და ადამიანების აბსოლუტური მოტყუებაა. ამიტომ, თუ „ევროპულ საქართველოს" უნდა, ადამიანები დაარწმუნოს, რომ ისინი სატელიტები კი არა, მართლა ოპოზიციური ძალა არიან, მაშინ ბოიკოტი უნდა გამოაცხადონ და ხელისუფლება მარტო დატოვონ.

– საზოგადოებაში, მედიაში ხშირად საუბრობენ თქვენზე, რომ არ გამოტოვებთ საპრეზიდენტო არჩევნებს და თქვენს კანდიდატურას დაასახელებს „ლიდერთა საბჭო", თუმცა იქ სხვა ლიდერიც არის გამოკვეთილი, მაგალითად, შალვა ნათელაშვილი. როდის გამოაცხადებთ თქვენს გადაწყვეტილებას?

– ამ გადაწყვეტილების გამოცხადება ჯერ არ არის სასწრაფო. რაც შეეხება საგარეო კურსს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ადამიანის ხედვა, როგორ ხედავს ის ქვეყნის განვითარებას, თუმცა ქვეყნის საგარეო კურსს პარლამენტი განსაზღვრავს და არა პრეზიდენტი. პრეზიდენტი უნდა იყოს ძლიერი ფიგურა, რომელიც ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით შეძლებს მოქმედებას.

– ოპოზიცია დაყოფილია ორ ნაწილად – პრორუსულ და პროდასავლურ ძალებად. ამ შემთხვევაში რთული იქნება გადაწყვეტილება, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მხარი დაგიჭირონ სხვა პარტიებმა.

– საერთოდ, ხელოვნური დაყოფები, პროდასავლური და პრორუსული, ქართულ პოლიტიკაში სამარცხვინოა. ჩვენ ვართ ღრმად ქართული პოლიტიკური ძალა, რომელიც დაფუძნებული ვართ ქართული სახელმწიფოს ინტერესებზე, ქართულ ტრადიციებზე.

– ოპოზიციურმა საპრეზიდენტო კანდიდატმა რა უნდა შესთავაზოს მოსახლეობას ისეთი, რომ უარი ათქმევინოს სახელისუფლებო კანდიდატზე?

– მე ამ დღეებში შეხვედრა მქონდა ჩვენი ერთ-ერთი რაიონის წარმომადგენელთან. მათ მითხრეს, რომ ხელისუფლებამ დღემდე ვერ მოახერხა გამგებლებისა და ხელმძღვანელი პირების დანიშვნა და ძირითადად იქაც და სხვა რაიონებშიც მოვალეობის შემსრულებლები ასრულებენ მოვალეობას. აი, ეს არის ამ მთავრობის უსუსურობა, არაკომპეტენტურობა, რომელიც ჩვენს მოსახლეობას არ აძლევს ნორმალური განვითარებისა და ცხოვრების საშუალებას და ამის შეცვლა უნდა შესთავაზოს მომავალმა პრეზიდენტმა.

ახალმა პრეზიდენტმა უნდა შეცვალოს მმართველობის ის ფორმა, როდესაც ერთი ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას ყველაფერზე, რომელი ხე სად იყოს, რომელი მინისტრი სად იყოს, რომელ საკრებულოში ვინ იყოს საკრებულოს თავმჯდომარე და ასე შემდეგ. ეს არის სამარცხვინო ვითარება. ჩვენ აღმოვჩნდით სამარცხვინო ერის მდგომარეობაში. ჰაიტიმაც კი, დანგრეულმა, გაუბედურებულმა, მიწასთან გასწორებულმა ჰაიტიმაც კი არ აირჩია პრეზიდენტად ერთადერთი ოლიგარქი, რომელიც ამ კუნძულიდან იყო, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ოლიგარქი იყო.

საქართველომ და საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა თავისი პასიურობით, უიმედობით, ზოგმა კიდევ პირდაპირი გაყიდვით, გააკეთა ის, რომ ქვეყანა ოლიგარქმა იყიდა იმისთვის, რომ თავისი მილიარდები იყოს დაცული.

დღეს ოლიგარქებს შორის ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში ივანიშვილია, რომელსაც თავის დასაცავად საკუთარი ქვეყანა აქვს.

მამუკა გვაძაბია: „თურქეთში ენგურჰესიდან ფერადი ლითონები გააქვთ“

გულიკო ბალაძე

ენგურჰესიდან თურქეთში დიდი რაოდენობით ფერადი ლითონი გააქვთ. ამ ინფორმაციას დამოუკიდებელი ექსპერტი, აფხაზეთიდან დევნილი მამუკა გვაძაბია „ახალ თაობას" აწვდის.

მამუკა გვაძაბიას განცხადებით, ენგურჰესის თანამშრომლებს ქურდული ელემენტები სახლებში უცვივდებიან, ემუქრებიან და ფულს სთხოვენ.

– მე გაკვირვებული ვარ, საიდან მოაქვთ ამდენი ფერადი ლითონი თურქეთში გასატანად, – აცხადებს მამუკა გვაძაბია.

– რის თქმა გინდათ?

– თურქეთში ენგურჰესიდან ფერადი ლითონები გააქვთ. გააქვთ და გააქვთ.

– ანგრევენ?

– არ ვიცი, ჩამოწერილი საქონელია თუ რა არის, ენგურჰესიდან განსაკუთრებით ძალიან დიდი რაოდენობით ფერადი ლითონი გააქვთ თურქეთში.

– რა იცით, რომ ენგურჰესიდან გააქვთ ფერადი ლითონები თურქეთში?

– ინფორმაცია მომაწოდეს.

– ვინ?

– მაქვს უფლება, ინფორმაციის წყარო არ დავასახელო. არც დავასახელებ. თუ ვინმე დაინტერესდება, მივაწვდი ინფორმაციას. ინფორმაციის მომწოდებლის ვინაობა რომ დავასახელო, დღესვე სამსახურიდან გააგდებენ. სჯობს, არ დავასახელო. სპეცსამსახურებმა სჯობს, იმას მიხედონ, ენგურჰესის თანამშრომლებს ძველი ბიჭები რომ უცვივდებიან, ფულს აწერენ, ემუქრებიან და ა.შ. დღესაც ასე ხდება. გალის იქაური ხელმძღვანელობა, რა თქმა უნდა, ვერაფერს აკეთებს, ეუბნება, შეიარაღდითო.

– ვინ ძველი ბიჭები უცვივდებიან?

– ძველი ბიჭები, ქურდული ელემენტები სახლში უცვივდებიან.

– იქაურები არიან?

– იქაურებიც მუშაობენ და აქაურებიც. ძალიან კარგი კომუნიკაცია არსებობს ენგურჰესთან დაკავშირებით. აქაურ და იქაურ ქურდულ ელემენტებს შორის ძალიან კარგი ურთიერთობაა.

– კარგი ურთიერთობაა?

– დიახ. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ქურდული ელემენტების მომძლავრება შეიმჩნევა.

– ჩვენკენ ახლა ხომ დაიწყეს ქურდული ელემენტების დაჭერა და კანონიც გაამკაცრეს?

– დიახ, დაჭერა დაიწყეს და ეს პოლიტიკა უნდა გაგრძელდეს. იცით თქვენ, ასეთი ტიპებით სავსე იყო სამეგრელოს რეგიონი. ასეთი ტიპებით სავსე იყო თბილისი, ქუთაისი და სამეგრელოს რეგიონი. ზუგდიდშიც არის, მაგრამ ამ ხელისუფლების ხალხი თავიანთ წილებში საძრომიალოდ ქურდულ ელემენტებს ხალხს არ უშვებს.

თავის დროზე ენგურჰესის საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი. ახლაც სერიოზული და თავისებური დამოკიდებულება მაქვს. ამიტომ შემტკივა გული ენგურჰესის მდგომარეობაზე.

– რასთან დაკავშირებით იყავით საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარე?

– ენგურჰესი გავაჩერეთ. მთელი მსოფლიო ამაზე ლაპარაკობდა, შეიარაღებული ბანდა გვაძაბიას ხელმძღვანელობით შევარდა ენგურჰესშიო. ამ დროს იარაღი საერთოდ არ გვქონდა.

– ენგურჰესი რატომ გააჩერეთ?

– ხუნტას რომ შეეწყვიტა ქმედებები. კანონიერი ხელისუფლებისთვის სამეგრელოს რეგიონში გზა იყო გადაკეტილი. გზა რომ გაეხსნათ, ენგურჰესი გავაჩერეთ. ასლან აბაშიძე საათნახევარი მელაპარაკებოდა ტელეფონით, ჩვენ რა დაგიშავეთ, გზა თუ გადაკეტილიაო.

– ასლან აბაშიძე რა შუაში იყო?

– ენგურჰესი რომ გავაჩერეთ, მთელ საქართველოში შუქი ჩაქრა, ავარია მოხდაო. მალევე ავანთეთ.

საქართველომ ესტონეთს 2:0 მოუგო

დასაწყისი პირველ გვერდზე

მეორე ტაიმში მეტოქემ თამაში გადააწყო, ორი თავდამსხმელით შემოგვიტია და კლავანმა ბურთი ძელს გაარტყა. ცოტა ხანში ისევ კაჭარავამ ვერ მოახერხა მეერტისის დამწუხრება. საბოლოოდ 2:0 და იმაზე დაგვწყდა გული, რომ უფრო დიდი ანგარიშით ვერ გავიმარჯვეთ.

ერთი სიტყვით, ჩვენმა გუნდმა ლიტვაზე უფრო ძლიერ ესტონეთსაც სძლია, ორ შეხვედრაში აჩვენა კლასი, დიდებული იყო გუნდურად, ფეხბურთელები ინდივიდუალურად ჩინებულად მოქმედებდნენ, თითქმის არ უტოვებდნენ მეტოქეს თავისუფალ ზონებს, თავს კარგად იცავდნენ, შესანიშნავად უტევდნენ, უტევდნენ სწრაფად, შემართებით, ლაზათიანად, ბურთსაც მშვენივრად აგორებდნენ და, რაც მთავარია, გამოჩნდა, რომ ნაკრები ერთ და ორ მოთამაშეზე არ არის დამოკიდებული: ჩაკვეტაძის, გვილიასა და ანანიძის გამოკლება, ფაქტობრივად, არც დაეტყო.

სპორტალი

ოკუპირებულ აფხაზეთში ფაროსანას შეგროვებაში მოსახლეობას ფულს უხდიან

ხაჯიმბა: „საქართველოს ფაროსანასთან ბრძოლაში წარმატებები აქვს“

მარიამ მჭედლიშვილი

მავნებელი ფაჰოსანა ჰომ საქაჰთველოს ოკუპაჰებულ ჰეგიონებსაც შეესია, ჰამდენიმე წლის წინ გახდა ცნობილი. მაშინ აფხაზეთს გაჰკვეული დახმაჰება ამ კუთხით ევჰოკავშიჰმაც გაუწია.

დღეს, როგორც ჩანს, მავნებელმა აფხაზეთში უფრო მეტად მოიკიდა ფეხი. საქმე იქამდე მივიდა, რომ საფრთხე შეექმნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას და მის გატანას რუსეთში.

ამ საკითხს აფხაზეთში სპეციალური თათბირი მიეძღვნა. მასში კონფლიქტური რეგიონის გარდა, მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები. მათ აფხაზეთში ჩამოიტანეს დაბეჭდილი ინსტრუქციები და ბროშურები. რუსეთის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა გააფრთხილეს ადგილობრივი მოხელეები, რომ ფაროსანასგან დაზიანებულ მანდარინს რუსეთში არ შეუშვებენ.

როგორც გაირკვა, ოკუპირებული მხარიდან ხილბოსტნეულის შეტანა დროებით აკრძალულია.

დეფაქტო პრეზიდენტის, რაულ ხაჯიმბას თქმით, ფაროსანასთან დაკავშირებული სიტუაცია უკვე აისახება აფხაზეთის ეკონომიკაზე. საოკუპაციო რეჟიმის ხელმძღვანელი ამ მიმართებაში საქართველოსაც ახსენებს და მას „მეზობელ სახელმწიფოდ“ მოიხსენიებს:

– ეს პრობლემა არსებობდა მეზობელ სახელმწიფოში-საქართველოში. საქართველო ცდილობდა აქტიურად ებრძოლა ამ მავნებელ მწერთან და იქ არის გარკვეული წარმატებები. მას ამაში დაეხმარნენ საერთაშორისო ორგანიზაციები.

ხაჯიმბამ აღიარა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ხაზით დახმარება გაეწია აფხაზეთსაც.

დეფაქტო პრეზიდენტი ფაროსანასთან ბრძოლაში საყოველთაო მობილიზაციას აცხადებს:

– ქიმიკატები ვერ გვიშველის, თუ ადამიანური ძალისხმევა არ ჩავრთეთ. სამწუხაროდ, აფხაზეთში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ფაროსანას განვითარებისათვის. ამიტომ მოვუწოდებ რეგიონების ხელმძღვანელებს, სასოფლო-სამეურნეო სამმართველოების უფროსებს, მოსახლეობას, მიიღონ ზომები მავნებლის გასანადგურებლად.

– ჯერჯერობით ფაროსანა გვამარცხებს, – აღიარებს საოკუპაციო რეჟიმის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოხელე.

მისი თქმით, საჭიროა კომპლექსური ზომები და მოსახლეობის დისციპლინა.

ერთ-ერთ ზომად სახელდება ფაროსანას დიდი რაოდენობით შეგროვება. ამას სხვა მიზანიც აქვს – კვლევები. რუსეთის მეცნიერები აფხაზური ფაროსანას დნმ-ს შეისწავლიან, რაც მასთან ბრძოლას გააადვილებს.

ამიტომ ხალხს მოუწოდებენ, უახლოეს ორ კვირაში დაერიონ და მოაგროვონ ფაროსანა. ამისათვის ფასიც დადგინდა – ერთ კილოგრამ ფაროსანაზე 1 000 რუბლი.

ეს პერიოდი შეირჩა იმის გამო, რომ ფაროსანას არ დაუტოვებია გამოზამთრების კერები. მავნებლის წინააღმდეგ გათვალისწინებულია ასევე 5 სახეობის ქიმიური პრეპარატის გამოყენება.

რუსეთის წარმომადგენლებმა აფხაზებს ხუმრობით ურჩიეს, ფაროსანას მოსაგროვებლად ენგურს გადაღმა არ გადავიდნენ.

შარშან ამ მავნებელთან საბრძოლველად აფხაზურმა ადმინისტრაციამ 10 მილიონი რუბლი სოფლის მეურნეობის ხარჯებიდან გამოყო, 5 მილიონი – პრეზიდენტის ფონდიდან. ამ სფეროსთვის თანხები გათვალისწინებულია წელსაც, თუმცა, ჯერჯერობით ფაროსანას ვერაფერი დააკლეს.

მოსკოვმა საქართველოს საზღვრებთან მასშტაბური სწავლება დაიწყო. სროლა ისმის აფხაზეთშიც

მოსკოვმა სამხრეთის სამხედრო ოლქში, საქართველოს საზღვრებთან, მასშტაბური სწავლება დაიწყო. პირობით მოწინააღმდეგეს 10 ათასი რუსი ჯარისკაცი და 2 ათასზე მეტი ერთეული ტექნიკა უპირისპირდება. სროლა ისმის აფხაზეთშიც, იმ პოლიგონზე, სადაც ადრე ქართველების სახლები იყო.

ამ წვრთნებს რუსი გენერალი, 2008 წელს საქართველოში შემოჭრილი 58-ე არმიის სარდალი, ანატოლი ხრულოვი, ხელმძღვანელობს, რომელიც ამჟამად აფხაზეთის გენერალური შტაბის მეთაურია.

შეიარაღების სპეციალისტმა, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა, სატელიტური რუკიდან კურიერს უჩვენა, სად არის განლაგებული ოკუპირებულ ტერიტორიაზე რუსული შეიარაღება.

მისი თქმით, ცხინვალში, ჯავასა და ახალგორში რუსეთს იმაზე მეტი სამხედრო ტექნიკა ჰყავს, ვიდრე ცოცხალი ძალა.

თბილისში ექსპერტები ამბობენ, რომ ეს ძალის ღია დემონსტრირებაა. მათ მიაჩნიათ, რომ საქართველომ და პარტნიორებმა ჟენევაში მშვიდობაზე საუბრისას ომის მუქარაც უნდა გაითვალისწინონ.

ბანკისთვის მთავარია უძრავი ქონების სარეალიზაციო ფასი, მსესხებლის შემოსავალი ნაკლებად აინტერესებს

საქართველოს საბანკო სისტემაში ყველაზე გავრცელებული სასესხო პროდუქტი იპოთეკური კრედიტია. ეს არის სესხი კონკრეტული მიზნობრიობით და უზრუნველყოფილი შესაბამისი ქონებით. პირობები ინდივიდუალურია და დამოკიდებულია მომხმარებლის შემოსავალზე, მსესხებლის საკრედიტო ისტორიაზე, შესაძენი ქონების ღირებულებაზე.

იპოთეკური სესხის აღება შესაძლებელია როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში, საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით 8 პროცენტიდან იწყება, სესხის დაფარვის მაქსიმალური ვადა 180 თვე, ანუ 15 წელია. სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკს უზრუნველყოფაში არსებული ქონების რეალიზაციის უფლება აქვს.

ნიშანდობლივია, რომ მოძრავი თუ უძრავი ქონების, მათ შორის ერთადერთი საცხოვრისის დაკარგვის რეალური საფრთხისა და კიდევ სხვა რისკების მიუხედავად, კომერციული ბანკების მიერ გაცემული იპოთეკური სესხების მოცულობა ყოველწლიურად იზრდება.

ეროვნული ბანკის 2018 წლის იანვრის მონაცემებით, ეროვნული ვალუტით გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობა 3.351.036.000 ლარია, რაც 72 პროცენტით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებში დომინირებს გრძელვადიანი სესხები, კერძოდ, საანგარიშო პერიოდში 12 თვით ან უფრო მეტი ხნით გაცემული სესხების რაოდენობა 3.012.257.000 ლარია და წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით 80 პროცენტით მეტია.

უმნიშვნელოდ, სულ 3 პროცენტით იკლო და 8.672.945 000 ლარი შეადგინა უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობამ. დიდი წილი ამ შემთხვევაშიც გრძელვადიან სესხებზე მოდის. უცხოური ვალუტით 12 თვით და მეტი ვადით გაიცა 8.194.830.000 ლარის ოდენობის კრედიტი, რაც 2 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

საყურადღებოა, რომ ეროვნული ბანკის ანგარიშში კომერციული ბანკების მიერ უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტების მოცულობაც ღარშია წარმოდგენილი. იპოთეკური სესხები საბანკო სექტორში 9-13 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, თუ ამ მაჩვენებელს შევადარებთ ევროპის ქვეყნების საბანკო სექტორში იპოთეკურ სესხებზე არსებულ განაკვეთებს, სადაც მაქსიმუმ 3 პროცენტია, მარტივად დავასკვნით, რომ ჩვენში ეს საბანკო პროდუქტი ძალიან ძვირია და მსესხებელს მძიმე წნეხად აწვება. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საშუალოდ ევროკავშირში მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 36.700 აშშ დოლარს აღწევს, ხოლო ჩვენთან ეს მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე მხოლოდ 3.800 დოლარია. ამას ემატება სავალუტო რისკით გამოწვეული ზარალი, როცა ლარი მკვეთრად გაუფასურდა დოლარის მიმართ. ფაქტია, რომ კრედიტორებისთვის უმეტეს შემთხვევაში რთულია სესხის გადახდა. პრობლემა არის არა მხოლოდ გრძელვადიან, ხანმოკლე პერიოდშიც მსესხებელთა არასტაბილური შემოსავლები, მაღალი საპროცენტო განაკვეთი, საზოგადოებაში ფინანსური განათლების დაბალი დონე და სხვ.

სფეროს სპეციალისტები აცხადებენ, რომ კომერციული ბანკები მაქსიმალური სიზუსტით ახერხებენ რისკების იდენტიფიცირებას. კრედიტორთა შემოსავლების 10-15 წლის პერიოდზე გათვლა შეუძლებელია, ამიტომაც ზერელედ ფასდება, თუმცა ბანკი გაცემული თანხის დაბრუნების მიზნით იპოთეკით ტვირთავს კრედიტორის უძრავ ქონებას და თუ მსესხებელი „გაიჭედება“, ბანკი ადვილად შეძლებს თანხის „ამოღებას“. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ე.წ. პრობლემური სესხის გამო ზარალდება ხოლმე მხოლოდ მსესხებელი, ხოლო რეალურად იპოთეკური სესხის გაცემით ბანკები წაუგებელ თამაშში შედიან.

ეკონომისტი შოთა გულბანი:

– რატომ ჩნდება პრობლემა სესხის მომსახურებისას? ეს ისევ და ისევ ცხოვრების დაბალ დონეს უკავშირდება. წარმოიდგინეთ, ქვეყანაში საშუალო ხელფასი 940 ლარია, ხოლო იპოთეკური სესხი რომ მიიღო, ყოველთვიურად, სულ მინიმუმ, 1.000 ლარის გადახდა გიწევს. ადამიანს სხვა ხარჯებიც აქვს! თან გავითვალისწინოთ, რომ ეს 940 ლარი გასაშუალოებული მაჩვენებელია და არ ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ამ მოცულობის ხელფასი აქვს.

ეს რიცხვი გაზრდილია საფინანსო სექტორში არსებული მაღალი ხელფასების წყალობით. სერიოზული პრობლემაა საზოგადოების ფინანსური განათლების დონეც. მსესხებლებისა და საფინანსო ორგანიზაციების ურთიერთობა ხელშეკრულებით არის დარეგულირებული.

ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევებით ირკვევა, რომ მსესხებელთა უდიდესი ნაწილი არც კი ეცნობა საკრედიტო ხელშეკრულების პირობებს. ორი წლის წინ ჩატარებული კვლევისას აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა 80 პროცენტს არც კი უცდია ბანკთან დიალოგის გზით ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის შეცვლა. არადა მსესხებელს თუ ხელშეკრულებაში რომელიმე პუნქტი არ მოსწონს, მას სრული უფლება აქვს, მოითხოვოს მისი ცვლილება. მეორე საკითხია, რომ ბანკი არაფერს არ შეგიცვლის და მსესხებელს მოუწევს დათანხმდეს ბანკის პირობებს, რადგან ალტერნატივა არ არსებობს.

სპეციალისტთა ნაწილი ღიად მიანიშნებს, რომ ბანკს მსესხებელთა შემოსავლები დიდად არც აინტერესებს, მას უკვე ხელში აქვს ჩაგდებული უძრავი ქონება.

ეკონომისტი ვახტანგ ხომიზურაშვილი:

– ბანკი, პირველ რიგში, უყურებს მოთხოვნილი სესხის მოცულობას და შემდეგ აფასებს იმ ქონებას, რაც იპოთეკაში ჩაიდება. ბანკისთვის მთავარია უძრავი ქონების სარეალიზაციო ფასი, ამიტომ მას საერთოდ არ აინტერესებს ფიზიკური პირის შემოსავლები. უძრავი ქონების შეფასების კრიტერიუმები ბანკებს სხვადასხვანაირი აქვთ, ბანკი ყოველთვის შეფასებას აკეთებს უფრო ნაკლები თანხით, ვიდრე საბაზრო ღირებულებაა.

კომერციული ბანკი საბაზრო ღირებულების 30 პროცენტით თუ შეაფასებს უძრავ ქონებას, აქედან გამომდინარე ბანკის სასესხო რისკები აბსოლუტურად დაფარული და უზრუნველყოფილია. ანუ მას ნაკლებად აინტერესებს კლიენტის შემოსავლის წყარო.

როგორც ცნობილია, მალე პარლამენტში იპოთეკით დატვირთულ ქონებასთან დაკავშირებით ახალ საკანონმდებლო ინიციატივაზე იმსჯელებენ.

კანონპროექტით შემოდის ახალი ცნება „ბოლო საცხოვრისი“, ანუ უძრავი ნივთი, რომელიც წარმოადგენს მოვალისა და მისი ოჯახის წევრზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ერთადერთ უძრავ ქონებას. და იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკურ პირს ერთადერთი სახლი აქვს იპოთეკით დატვირთული, ბანკი ან მევახშე ამ ქონებას სამი წლის განმავლობაში ვერ გაყიდის. საკანონმდებლო ინიციატივა „პატრიოტთა ალიანსს“ ეკუთვნის. ფრაქციაში განმარტეს, რომ კანონპროექტის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლში, რომელიც საპროცენტო განაკვეთებს არეგულირებს, ორი ცვლილება შედის. პირველი – თუ პირს გადახდილი აქვს ჯარიმა, პროცენტი და ა.შ. რაც მთლიანად ძირი თანხის ორმაგი ოდენობაა, ვალდებულება გადახდილად ჩაეთვლება. მეორე ცვლილების თანახმად კი, სესხზე დასაბრუნებელი თანხა ძირი თანხის ერთმაგ ოდენობას არ უნდა აღემატებოდეს. ანუ ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები თუ კერძო მევახშეები, 1.000 ლარიან კრედიტზე 2..000 ლარზე მეტს ვერ მოითხოვენ. მოქმედი კანონმდებლობით კი იპოთეკურ სესხებზე ე.წ. „კრიშა“ საშუალოდ, 2.4-2.5 კოეფიციენტის ფარგლებში მერყეობს.

აზარტული თამაშების კომპანიების დაბეგვრის მექანიზმები არაეფექტურია. ისინი ძალიან ცოტას იხდიან

ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა დაახლოებით ექვსი წელია ჭიანურდება.

„ქართული ოცნება“ ჯერ კიდევ ხელისუფლებაში პირველი ვადით მოსვლის დროს, 2012 წელს სათამაშო ბიზნესის რეგულირებაზე აქტიურად საუბრობდა. მერვე მოწვევის პარლამენტში შესაბამისი ცვლილებათა პროექტის მომზადებაზე საუბარი ხშირად იყო, თუმცა საბოლოოდ არ მომზადდა.

მეცხრე მოწვევის პარლამენტში საკითხი კვლავ გააქტიურდა. ამჯერად ინიციატორი ფინანსთა სამინისტროა, სადაც სათამაშო ბიზნესის პოლიტიკის სამმართველო უკვე მუშაობს. ამასთან, შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფიც, პარლამენტის წევრებითა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებით დაკომპლექტებული. გასული წლის ნოემბერში კანონპროექტზე მუშაობა დასრულდა, თუმცა მისი მიღება კვლავ დროში იწელება.

როგორც ცნობილია, საკანონმდებლო პაკეტში ერთ-ერთი მთავარი ცვლილება არის ის, რომ აზარტულ თამაშებში ადამიანები, 18-ის ნაცვლად, დაიშვებიან 21 წლიდან. გარდა ამისა, რეგისტრაციისთვის, შესაძლოა, სათამაშო ობიექტზე მისვლა გახდეს სავალდებულო, ადგილზე შეამოწმებენ, აქვს თუ არა მოქალაქეს თამაშის უფლება. ამასთან შეიძლება შეიქმნას აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ მოქალაქეთა სია. ამ სიაში მოხვედრის შემთხვევაში, პირს სამორინეებსა და ონლაინ აზარტულ თამაშებში მონაწილეობის უფლება შეეზღუდება.

როგორც დეპუტატმა ლევან გოგიჩაიშვილმა გვითხრა, ამ ეტაპზე კომენტარის გაკეთება არ სურს, რადგან მთავრობასთან გარკვეული კონსულტაციები მიმდინარეობს. კიდევ ერთი პარლამენტარი ირაკლი ბერაია აღნიშნავს, რომ კანონპროექტის მიღების ვადების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს. ამასთან, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის აპარატის უფროსი კობა გრიალაშვილი ჩვენთან საუბრისას აცხადებს: კანონპროექტის განხილვები პარლამენტში ორ-სამ კვირაში განახლდება. ამჟამად კი მთავრობასთან კონსულტაციები მიმდინარეობს.

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ანალიტიკოსი, ანდრია გვიდიანი აცხადებს, რომ გამორიცხული არ არის კანონპროექტის მიღების გაჭიანურება სათამაშო ბიზნესის ლობის გააქტიურებას უკავშირდებოდეს და, შესაძლოა, კორუფციის ნიშნები იკვეთებოდეს.

მიზეზებზე საუბარი გამიჭირდება, თუმცა მაქვს გარკვეული ეჭვები. საკანონმდებლო ორგანოსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში სათამაშო ბიზნესის რეგულაციის საკითხი ყოველთვის აქტიურდება და ბოლომდე არასდროს მიჰყავთ. ამიტომაც ჩნდება ეჭვი, სათამაშო ბიზნესის ლობი ხომ არ მოქმედებს ისე, რომ გავლენას ახდენს დეპუტატებზე ან აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. ასევე, შეიძლება კორუფციის ნიშნები იკვეთებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონს აქამდე უკვე მიიღებდნენ. ხელისუფლებაში პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია, რომ სათამაშო ბიზნესი რეგულაციებში მოექცეს. თუმცა, ამდენი წელი რომ აღნიშნული საკითხი მოუგვარებელია, ამას ლოგიკური ახსნა არ აქვს, – აცხადებს გვიდიანი.

მისი განმარტებით, აღნიშნული საკითხით პოლიტიკური გადაწყვეტილების აღსრულებაზე პასუხისმგებელი პირები უნდა დაინტერესდნენ, გაარკვიონ და გამოიკვლიონ, რატომ არის ეს კანონპროექტი დროში გაჭედილი.

– არსებობს ერთადერთი გზა – სამოქალაქო აქტიურობა, მედიის აქტიურობა და საზოგადოების მხრიდან ხელისუფლებაზე ზეწოლა, რომ დააჩქარონ პრობლემის გადაჭრა ან ხელისუფლებამ აღიაროს, რომ მის მოგვარებას არ აპირებენ. რეალურად ხელისუფლების პოზიცია უნდა გავიგოთ, აღიქვამენ თუ არა სათამაშო ბიზნესის საკითხს პრობლემად და თუ მოგვარებას აპირებენ, რა ვადებში მოხდება ეს, – აცხადებს ანდრია გვიდიანი.

რაც შეეხება აზარტული თამაშების შესახებ გარკვეული რეგულაციების საკანონმდებლო დონეზე მიღების აუცილებლობას, აფბას ანალიტიკოსი განმარტავს, რომ გონივრული რეგულაციები სიტუაციას დაალაგებს.

– ეს არის მუდმივად მზარდი სექტორი. 216 წლის მონაცემებით, აღნიშნულ სექტორში ბრუნვამ 4 მილიარდ ლარს გადააჭარბა. 2017 წლის მონაცემები ჯერ არ გამოქვეყნებულა. ონლაინ სათამაშო სივრცის გარკვეულ რეგულაციებში მოქცევა აუცილებელია. აღნიშნული ქმნის არაერთ პრობლემას, როგორიცაა: ფულის გათეთრების რისკები, ასაკობრივი ცენზის დაუცველობა, რეგისტრაციის გარეშე ჩართულობის და, ზოგადად, იდენტიფიკაციის პრობლემები, ნარკოტიკებით ვაჭრობის, ტერორიზმის რისკები და სხვა. ზოგიერთმა ქვეყანამ მთლიანად აკრძალვის მეთოდს მიმართა, ზოგიერთმა – რეგულაციების. მე პირადად რეგულაციების მომხრე ვარ და არა მთლიანად აკრძალვის. სრული აკრძალვით სათამაშო ბიზნესი იატაკქვეშეთში გადაინაცვლებს. გონივრული რეგულაციებით კი, ბევრი მიმართულებით სიტუაცია დალაგდება, – აღნიშნავს ანდრია გვიდიანი.

მისივე თქმით, აზარტული თამაშები ქვეყნის ეკონომიკაში ფისკალური კუთხითაც დიდ პრობლემას ქმნის.

– აზარტული თამაშების კომპანიების დაბეგვრის მექანიზმები არაეფექტურია. ისინი ძალიან ცოტას იხდიან, მიუხედავად იმისა, რომ მათი ბრუნვა საკმაოდ მაღალია და წლიდან წლამდე – მზარდი. აზარტული სივრციდან ეკონომიკაში ფისკალური ეფექტი მინიმუმამდეა დაყვანილი. ამ მხრივაც კანონმდებლობა მნიშვნელოვნად შესაცვლელია, – აცხადებს გვიდიანი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში სათამაშო ბიზნესის შესაბამისი კანონმდებლობით დარეგულირება ჯერ კიდევ 2005 წლიდან დაიწყო.

აფბა-ს კვლევის თანახმად, ქვეყანაში ონლაინ კაზინოებით მოსარგებლეთა რიცხვი დაახლოებით 400 ათასი ადამიანს უტოლდება. მათი ასაკი 14-დან 35 წლამდე მერყეობს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში ამ ასაკის დაახლოებით 1.033.000 ადამიანია, ეს იმას ნიშნავს, რომ ამავე ასაკობრივ ჯგუფში ყოველი მეორე ადამიანი აზარტულ თამაშებშია ჩართული. ერთი მოთამაშე დღეში, საშუალოდ, 4-5 საათს ატარებს აზარტული თამაშების მახეში.

საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების მიხედვით კი, მოსახლეობის 6% აზარტული თამაშებითაა დაკავებული. მათგან უმრავლესობა უპირატესობას ონლაინ ტოტალიზატორს ანიჭებს. მოსახლეობის 2% აცხადებს, რომ აზარტული თამაშების გამო, მას ან მისი ოჯახის წევრს მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემა ჰქონია. კვლევის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის დიდი ნაწილი (92%) უარყოფითად არის განწყობილი ამ ინდუსტრიის მიმართ და მიაჩნია, რომ ის საერთოდ უნდა აიკრძალოს (63%) ან შეიზღუდოს (29%).

„სამშენებლო სექტორისთვის სავალდებულო დაზღვევის შემოღება მომხმარებლის მოტყუებაა“

– ბოლო პერიოდში მოიმატა სამშენებლო ობიექტებზე დაღუპული ადამიანების რიცხვმა, რაც ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია, – ეს განცხადება თბილისის მერმა, კახი კალაძემ მთავრობის სხდომაზე გააკეთა.

მისი თქმით, რამდენიმე დღის წინ სამშენებლო რეგულაციებთან დაკავშირებით კანონში ცვლილება ამოქმედდა, რაც გულისხმობს მშენებლობებზე დასაქმებული ადამიანების უსაფრთხოების მაქსიმალურად დაცვას. ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომლის თანახმად სამშენებლო უსაფრთხოების წესების დარღვევაზე, ისევე, როგორც უნებართვო მშენებლობასა და პროექტის დარღვევით სამშენებლო წარმოებაზე საჯარიმო სანქციები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ჯარიმა 3000 ლარიდან 30.000 ლარამდე თანხას შეადგენს. განმეორების შემთხვევაში კი ქმედება სისხლი სამართლის დანაშაულად ჩაითვლება.



მერმა განმარტა, რომ ეს ყველაფერი მშენებლობების კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანად გაკეთდა და მათი მიზანი კომპანიების დაჯარიმება არ არის. სამშენებლო სექტორში არსებულ პრობლემებზე ისაუბრეს „რადიო კომერსანტის“ ეთერში.

მენაშენთა ასოციაციის ხელმძღვანელის, ირაკლი როსტომაშვილის თქმით, იმისათვის, რომ სფეროს რეგულირება მოხდეს, უსაფრთხოება იყოს დაცული და სამშენებლო ობიექტებზე დარღვევები მინიმუმამდე იყოს დაყვანილი, თბილისის მერი მენაშენეებთან კონსულტაციებს მართავს.

– ნებისმიერი ღონისძიება თუ ის მიმართულია იმისკენ, რომ თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინოს, მენაშენეთა ასოციაცია ამას მხარს დაუჭერს. ჩემს პრაქტიკაში პირველად ხდება, როდესაც დედაქალაქის მერია კონსულტაციებს მართავს კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად ასოციაციასთან და ურთიერთშეჯერებით ხდება რაღაც სამომავლო საკითხების დაგეგმვა და შესწავლა, რაც მისასალმებელია. მიუხედავად იმისა, რომ წინა მერის პირობებში ჩვენ შეხვედრას ვითხოვდით, შეხვედრა მაინც არ შედგა, ამ შემთხვევაში კი ინიციატივა მერიის მხრიდან მოდის, – განაცხადა ირაკლი როსტომაშვილმა.

ირაკლი როსტომაშვილი კომერსანტთან საუბარში ამბობს, რომ ყველას ერთნაირი პასუხისმგებლობა აქვს ქვეყანაზე, ერთნაირი პასუხისმგებლობა აქვს მოქალაქეებს ერთმანეთის მიმართ. როსტომაშვილისთვის მიუღებელია ის, რომ მხოლოდ მშენებლობაზეა საუბარი.

– ჩემს პრაქტიკაში ძირითადად დამნაშავე არის დაუდევარი ადამიანი. ზოგადად დაუდევარი შეიძლება იყოს სამუშაოთა მწარმოებელი, ხშირ შემთხვევაში ადამიანი, რომელიც ღვედს, რომელსაც აძლევს კომპანია, არ იყენებს. როცა ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, ვინც ამაზე პასუხისმგებელია, უნდა გადაიხადოს დიდი ჯარიმა. მაგრამ მარტო მშენებლობაზეა ლაპარაკი? მე თუ რაღაცის შეუსრულებლობის გამო ჯარიმას მახდევინებენ, მაშინ პოლიტიკოსებმა, რომლებიც კონკრეტული დაპირებით მოდიან და არ შეასრულეს დაპირებები, იმათმაც გადაიხადონ. ვიღაც ქუჩაზე რომ გადარბის, ის რატომ არ ჯარიმდება? სამარშრუტო მძღოლი, რომელსაც გაუმართავი მანქანა ყავს, ის რატომ არ ჯარიმდება? ყველა ადამიანი, ვინც სხვის სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს, უნდა დაჯარიმდეს 30.000 ლარით, – განაცხადა ირაკლი როსტომაშვილმა.

ეკონომიკის სამინისტრო მუშაობას დასრულებული შენობების ფარული დეფექტების სავალდებულო დაზღვევაზე, რასაც უარყოფითად აფასებს მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღვანელი. ირაკლი როსტომაშვილი ამბობს, რომ დაზღვევის თანხის გადახდა მოქალაქეს უწევს, რაც, მისი თქმით, მომხმარებლის მოტყუებაა.

– ამ თემასთან დაკავშირებით კონსულტაციები მიმდინარეობს. ჩვენ ჩვენი უარყოფითი დამოკიდებულება დავაფიქსირეთ, ვნახოთ, როგორ გაგრძელდება შეხვედრები. საქართველოში არის საბაზრო ეკონომიკა, თუ სამშენებლო ორგანიზაციას უნდა, რომ მოიზიდოს მყიდველი, მაშინ მან უნდა შესთავაზოს კლიენტს, რომ მისი მშენებლობა დაზღვეულია. საბოლოო ჯამში, მოქალაქე იხდის ამ თანხას, ეს ხომ თვალთმაქცობა და მოტყუებაა, რადგან ამ თანხას მშენებელი არ იხდის, – განაცხადა ირაკლი როსტომაშვილმა.

კომერსანტი

ბოლნისისა და დმანისის რაიონებში ტყვიის კონცენტრაცია დასაშვებ ნორმებს 10-ჯერ აღემატება

„ქვემო ქართლის სამთომოპოვებითი დაბინძურება“ ასე ჰქვია კვლევას, რომელიც რადიო „კომერსანტის“ ეთერში, „მწვანე გადაცემის“ მთავარი თემა იყო.

კვლევის ავტორმა, გურანდა ავქოფაშვილმა განაცხადა, რომ კვლევა ეხება ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში არსებულ ეკოლოგიურ მდგომარეობას. მისი თქმით, შესწავლილი იქნა ნიადაგის და წყლის სინჯები რეგიონში.

– 21 სოფელში ავიღეთ სინჯები, სადაც მოხდა 43 სასინჯე არეალის გამოყოფა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა დაბინძურებული არეალები, გამოიკვეთა ასევე ის ლითონები, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული და შორ მანძილზე იქნა გადატანილი ჰაერის მეშვეობით, – განაცხადა გურანდა ავქოფაშვილმა.

კვლევის მთავარმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ალექსანდრე ღონღაძემ „მწვანე გადაცემაში“ განაცხადა, რომ ხდება გარემოს ორგვარი დაბინძურება, ჰაერის და წყლის. მისი თქმით, დიდი პრობლემაა ის, რომ დაბინძურებული წყლით ირწყვება სავარგულები და იქ მოყვანილ პროდუქტს ადამიანი საკვებად მოიხმარს. ღონღაძე ამბობს, რომ როდესაც ჰაერი ბინძურდება, საბოლოოდ ისიც ჩადის ნიადაგში, მაგრამ მთავარი არის ის, რომ ამ ჰაერით ადამიანები სუნთქავენ.

– კვლევებმა აჩვენა, რომ ყველაზე დიდი მასშტაბი აქვს ჰაერის დაბინძურებას. ჰაერი არის დაბინძურებული მთელ ბოლნისის რაიონში და დმანისის ნაწილში. 2014 წელს ტყვიის კონცენტრაცია რეგიონში 16 მლ/კგ – დან 22 მლ/კგ-მდე მერყეობდა. საყდრისის აფეთქებიდან ექვსი თვის შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ამჟამად ტყვიის კონცენტრაცია 10-ჯერ და მეტჯერ აღემატება დასაშვებ ნორმებს, – განაცხადა ალექსანდრე ღონღაძემ.

მწვანე პოლიტიკის საზოგადოებრივი პლატფორმის დამფუძნებელი, ნიკა წიქარიძე ამბობს, რომ ხელისუფლება გადასულია მხოლოდ შედეგების განხილვაზე და მიზეზებზე არავინ ლაპარაკობს. ეს ყველაფერი ბოლოს აუცილებლად მიგვიყვანს გარემოს დაბინძურებამდე. შანსი იმისა, რომ დაბინძურება თავიდან ავირიდოთ, სახელმწიფოს ჩაურევლობის გარეშე არ არსებობს.

– ჩვენი მიზანი არ იყო მხოლოდ შედეგის ჩვენება, არამედ მისი ანალიზიც. ის, რომ დაბინძურება არსებობს, ეს არის კონკრეტული პოლიტიკური ნაბიჯების შედეგი. სახელმწიფო კერძო კომპანიის იმედზე ტოვებს ისეთ საკითხებს, რომელიც ადამიანების ჯანმრთელობასთან არის დაკავშირებული. ეს პოლიტიკა მიგვიყვანს იქამდე, რომ დაბინძურება იქნება მუდმივად, სანამ სახელმწიფო პასუხს არ მოსთხოვს კომპანია „RMG-GOLD“-ს“, – განაცხადა ნიკა წიქარიძემ.

გურანდა ავქოფაშვილი ამბობს, რომ ადგილზე ძალიან ბევრი პრობლემაა, რომლის მოსაგვარებლადაც კომპლექსური მიდგომაა საჭირო. კვლევის ერთ-ერთი ავტორი ამბობს, რომ სიტუაცია ბოლნისის რაიონში არის მორგებული მომპოვებელზე, მდგომარეობა კი არც ერთი ხელისუფლების დროს არ იცვლება.

– ნიადაგის, წყლის და ჰაერის დაბინძურების გარდა, ადგილზე ძალიან ბევრი პრობლემაა, რომელსაც კომპლექსური მიდგომა სჭირდება. ამაში ბევრი ორგანიზაცია უნდა ჩაერთოს, ასევე მეცნიერთა ჯგუფები, რათა აღმოიფხვრას და შემცირდეს დაბინძურების ხარისხი. ეს ყველაფერი ადამიანის ორგანიზმში ილექება და სხვადასხვა დაავადებებს იწვევს. განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფია ხანდაზმულები და ბავშვები. მსოფლიოში სხვადასხვა თანამედროვე ტექნოლოგიებს იყენებენ მსგავსი პრობლემის მოსაგვარებლად. ერთ-ერთი ასეთია მწვანე ტექნოლოგია. 2013 წელს, საპილოტედ სხვადასხვა ჯიშის მცენარეები დავრგეთ, ჩავატარეთ კვლევები, თუ რამდენად რენტაბელური იქნება მწვანე ტექნოლოგით პრობლემის აღმოფხვრა და ნიადაგის გაწმენდა. სხვადასხვა ქიმიური საშუალებების გამოყენება უფრო ძვირი ჯდება და შედეგიც არ არის სახარბიელო, – განაცხადა გურანდა ავქოფაშვილმა.

კომერსანტი

პაპუნა უგრეხელიძე: „ეკა მესხიძე სექსუალურ შევიწროებას იმიტომ მაბრალებს, რომ მისი ქმარი, ზურაბ ყიფიანი, სამსახურიდან გავუშვი“

ეკა მესხიძე: „პაპუნა უგრეხელიძის ბრალდებები აბსურდულია“

რატომ გადადგა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი

გუშინ, 27 მარტს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი, პაპუნა უგრეხელიძე, თანამდებობიდან გადადგა. ამის შესახებ მან განცხადება თავის ფეისბუქის გვერდზე გაავრცელა.

„ვთავისუფლდები საჯარო მოხელის სტატუსისგან, რომ არ ვიყო განცხადებებში შებოჭილი, თავისუფლად ვილაპარაკო სიმართლე და ვებრძოლო ტყუილს, რომელიც ქალთა უფლებების სახელით ხორციელდება“ – წერს უგრეხელიძე.

გუშინვე იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა უგრეხელიძის განცხადება დააკმაყოფილა.

ამ მოვლენას წინაისტორია აქვს.

24 მარტს ცნობილი გახდა, რომ პაპუნა უგრეხელიძეს სახალხო დამცველის ოფისმა თანამშრომლის სექსუალური ნიშნით დისკრიმინაცია დაუდგინა. ომბუდსმენის ოფისის დასკვნა 2017 წლის გაზაფხულზე მომზადდა.

ახალგაზრდა ქალი, რომელმაც იმედინუსთან ანონიმურობის პირობის დაცვით ილაპარაკა, თქვა, რომ მისთვის მტკივნეულ საკითხზე პრესასთან ღიად ლაპარაკი რამდენიმე გარემოების გამო გადაწყვიტა. მისი თქმით, სამოქალაქო აქტივისტისა და სიდას დირექტორ ზვიად დევდარიანის მიმართ ბოლოდროინდელი ბრალდებები ერთადერთი მოტივატორი არ იყო.

ქალი ამბობდა, რომ ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესის მიუხედავად, რომლის გავლაც მას მოუწია, პაპუნა უგრეხელიძე ისევ თანამდებობაზე იყო, ხოლო იმის გამო, რომ მან თავისი უფლებების დაცვა გაბედა, მის დაჩაგვრას დღემდე ცდილობდა.

პაპუნა უგრეხელიძე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელად 2013 წლიდან მუშაობდა.

❖ ❖ ❖

გუშინ, გადადგომის შემდეგ, პაპუნა უგრეხელიძემ ვრცლად ისაუბრა იმის შესახებ, თუ რატომ მოუხდა მას გადადგომა.

– ეს ბრალდებები არის შურისძიება იმის გამო, რომ ე. მესხიძის მეუღლე ზურაბ ყიფიანი (ნაციონალური მოძრაობის წევრ ლევან ბეჟუაშვილის ცოლისძმა), რომელიც რეესტრში 2010 წელს დაინიშნა, 2016 წლის 22 აგვისტოს ბრძანებით შეფარდებული დისციპლინური სახდელის საფუძველზე გათავისუფლდა საჯარო რეესტრის გეოდეზიისა და გეოინფორმაციის დეპარტამენტის სივრცითი ინფორმაციის სამსახურის გეოინფორმაციული სისტემების ადმინისტრატორის პოზიციიდან.

ზურაბ ყიფიანი, როცა სამსახურში იშვიათად შემოივლიდა, ტეხდა მეუღლის გამო კონფლიქტებს, ძაღლით ატერორებდა იუსტიციის სახლში მოსულ ათასობით მომხმარებელს, და სხვ. ზურაბ ყიფიანის შესახებ დასკვნა იხილეთ აქ, – აცხადებს პაპუნა უგრეხელიძე.

უგრეხელიძე დასძენს, რომ ეკა მესხიძემ სახალხო დამცველს სექსუალური შევიწროების შესახებ მას შემდეგ მიმართა, რაც მისი მეუღლე სამსახურიდან გათავისუფლდა.

– მეუღლის გათავისუფლების გამო ეკა მესხიძე მაშანტაჟებდა და არსებობს მოწმე, რომლის საშუალებითაც მან შემატყობინა, რომ მისი მეუღლე, ზურაბ ყიფიანი, არ გამეთავისუფლებინა სამსახურიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში სახალხო დამცველთან მიჩივლებდა, – წერს პაპუნა უგრეხელიძე სოციალურ ქსელში.

აქვე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი ამბობს, რომ ეკა მესხიძე სამსახურიდან არა სექსუალური შევიწროების, არამედ უფრო მაღალანაზღაურებადი სამსახურის შეთავაზების გამო წავიდა.

– მას ახალ სამსახურს სთავაზობდნენ, სადაც დასაქმებისთვის საჭირო რეკომენდაციაც კი გავუწიე, – ამბობს უგრეხელიძე.

პაპუნა უგრეხელიძე ეკა მესხიძის მხრიდან მის მიმართ შანტაჟისა და პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის მცდელობის გამო სასამართლოს მიმართავს.

– ერთადერთი, რისთვისაც ვიხდი ბოდიშს, არის ის, რომ ვმეგობრობდი ეკა მესხიძესთან, რომელიც რეესტრში 2004 წელს დაინიშნა, რომ ვენდობოდი მას და რომ ფამილარული გამონათქვამები ერთმანეთის მიმართ გვქონია, რადგან ვერ წარმოვიდგენდი, რომ მის მიერვე სამსახურში ჩემს დაბადების დღეზე მოტანილ ციყვებიან ტორტს ის მოგვიანებით სექსუალურ ჭრილში წარმოაჩენდა. ნამდვილად ძალიან სამარცხვინო და უხერხულია, – წერს უგრეხელიძე.

❖ ❖ ❖

პაპუნა უგრეხელიძეს გუშინ საღამოს ეკა მესხიძემ უპასუხა, რომელმაც პირველ არხთან დამატებითი კომენტარი გააკეთა.

ის მზადაა, საქმე სასამართლოში გაგრძელდეს.

– ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ამ ბრძოლამ შედეგი გამოიღო და პაპუნა უგრეხელიძემ თანამდებობა დატოვა. ეს იყო პასუხი ყველა იმ ცრემლისთვის, ყველა იმ ტკივილისთვის, რაც მან ადამიანებს მიაყენა, კონკრეტულად საჯარო რეესტრის თანამშრომლებს. ღიად მინდა ვთქვა, რომ ადამიანები მწერენ, მირეკავენ და მადლობას მიხდიან, რომ ისინი გათავისუფლდნენ მისი საშინელი გარემოცვიდან.

რაც შეეხება ბრალდებებს, აბსურდულია, ჩემი მეუღლის თემას არანაირი კავშირი არ აქვს იმაზე, რაზეც მე ვსაუბრობ, ეს უკვე დადასტურებულია სახალხო დამცველის მიერ. რაც შეეხება სასამართლო დავას, თუ ის ჩივილს აპირებს, მეც მზად ვარ. შევხვდებით სასამართლოში და სასამართლო გამოავლენს დამნაშავეს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის რთული იყო ამ ამბის გახმაურება, ამ ნაბიჯს არ ვნანობ, ვინაიდან ეს შეიძლება სტიმული იყოს სხვა ადამიანებისთვის, რომლებიც დღეს ხმას არ იღებენ, ისევ დუმან და ითმენენ ჩაგვრას, შეურაცხყოფას, დამცირებას, – განაცხადა ეკა მესხიძემ.

მაქსიმე გვარმიანი ნენსკრა ჰესის ტერიტორიაზე ავტომატის სროლით შეიჭრა

მესტიის პოლიციის თანამშრომლებმა 1990 წელს დაბადებული მაქსიმე გვარმიანი ძალადობით სხვისი მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევის ბრალდებით ჭუბერში დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბრალდებული სოფელ ჭუბერში, იტალიური კომპანიის „სალინი იმპრეჯილოს“ ტერიტორიაზე ავტომანქანით შეიჭრა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ჰაერში გაისროლა და მიიმალა.

შსს-ს ცნობით, პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება მიმდინარეობს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და ძალადობით ბინაში ან სხვა მფლობელობაში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლის ან სხვა ქმედების ფაქტზე, რომელიც არღვევს ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობას, საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით და 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

დანაშაული 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

იტალიურმა კომპანია „სალინი იმპრეჯილომ“ სვანეთში ნენსკრა ჰესი უნდა ააშენოს. ამჟამად მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. სვანეთის მცხოვრებლები ჰესის მშენებლობის წინააღმდეგ პერიოდულად მართავენ საპროტესტო აქციებს მესტიასა და თბილისში. სვანეთში ჰესების მშენებლობის აკრძალვის გადაწყვეტილება სვანეთის საერთო კრება ღალხრზე მიიღეს, რომელსაც სვანეთის ყველა თემის წარმომადგენელი ესწრებოდა.

დანაშაულის დაფარვისა და ცრუ ჩვენებისთვის სასჯელი მკაცრდება

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მკაცრდება სასჯელები დანაშაულის დაფარვის, დანაშაულის შეუტყობინებლობის, ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და ცრუ ჩვენების მიცემისთვის.

ცვლილების აუცილებლობა განაპირობა საგამოძიებო უწყებებთან თანამშრომლობის კუთხით პრაქტიკაში არსებულმა პრობლემებმა და ზემოაღნიშნულ დანაშაულებზე ქმედების ხასიათთან სასჯელების შეუსაბამობამ.

დღეს მოქმედი კანონით, ყველა კატეგორიის (ნაკლებად მძიმე, მძიმე, განსაკუთრებით მძიმე) დანაშაულის დაფარვა/შეუტყობინებლობისთვის ერთი და იგივე სანქციაა გათვალისწინებული, რაც აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას არაეფექტიანს ხდის. მოქმედი რედაქციის მიხედვით, როგორც ნაკლებად მძიმე, ასევე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა/შეუტყობინებლობა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულია და ისჯება: დაფარვა – 1-დან 3 წლამდე და შეუტყობინებლობა – 2-დან 4 წლამდე.

საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, ერთმანეთისგან იმიჯნება ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა/შეუტყობინებლობა და მათი სოციალური საშიშროების მიხედვით, შესაბამისი სანქციები წესდება.

შედარებით მკაცრად დაისჯება მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა/შეუტყობინებლობა. დღეს არსებული რედაქციისგან განსხვავებით, ცვლილების შემდეგ, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა/შეუტყობინებლობა და მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა მძიმე კატეგორიის დანაშაული იქნება, რომლის ჩამდენი პირების მიმართ ვერ იქნება გამოყენებული პირობითი მსჯავრი.



სანქციები იზრდება, ასევე, ცრუ ჩვენების მიცემისა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის. ცრუ ჩვენების კუთხით, პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულ შემადგენლობაზე (ანგარება ან სხვა პირადი მოტივი) სანქციის ზედა ზღვარი იზრდება 2 წლით, რითაც აღნიშნული დანაშაული მძიმე კატეგორიის დანაშაულად იქცა, რომლის ჩამდენი პირის მიმართ ვერ იქნება გამოყენებული პირობითი მსჯავრი. ასევე, 2 წლით იზრდება სანქციის ზედა ზღვარი ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის, რითაც დანაშაული მძიმე კატეგორიის დანაშაულად იქცევა.

რუსთავში დედასა და მის მეგობარ მამაკაცს 15 წლის გოგონას მიმართ ძალადობაში ადანაშაულებენ

ძალადობის შემთხვევა რუსთავში – დედასა და მის მეგობარ მამაკაცს 15 წლის გოგონას მიმართ ძალადობაში ადანაშაულებენ.

გავრცელებული ინფორმაციით, მოზარდს ფიზიკურად უსწორდებოდნენ. ფაქტის შესახებ ინფორმირებულია სოციალური მომსახურების სააგენტო. როგორც სააგენტოში აცხადებენ, ბავშვთან მუშაობენ სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი.

შსს-ს ინფორმაციით, ფაქტზე გამოძიება დაწყებულია სსკ-ის 126-ე პრიმა მუხლით, რაც ოჯახურ ძალადობას გულისხმობს, ასევე 11 პრიმა 141-ე მუხლით, რაც გულისხმობს პასუხისმგებლობას ოჯახურ დანაშაულზე და გარყვნილ ქმედებას.

თბილისში შენობის უნებართვოდ გადაღებვაზე ჯარიმა 500 ლარი იქნება

თბილისში შენობის უნებართვოდ გადაღებვა მოქალაქეს 500 ლარი დაუჯდება.

ცვლილება „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შედის, რომლის განხილვას პარლამენტი უახლოეს დღეებში დაიწყებს.

კანონპროექტით, თბილისის იერსახის თვითნებური შეცვლა, მათ შორის, შენობა-ნაგებობის ფერის შეცვლა გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ნაცვლად 200 ლარისა.

200-ლარიანი ჯარიმა იერსახის შეცვლასა და მათ შორის შენობების უნებართვოდ გადაღებვაზე ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე უცვლელად დარჩება.

პოლ რაიანი: „ტრამპი რუსეთის მიმართ უფრო ხისტია, ვიდრე ობამა!“

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის სპიკერმა პოლ რაიანმა განაცხადა., რომ ტრამპის გადაწყვეტილებას რუს დიპლომატებთან დაკავშირებით მხარს უჭერს.

– ეს მართაც დროული და აუცილებელი ნაბიჯი იყო, – ამბობს რაიანი.

სპიკერმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი თავისუფლებისა და დემოკრატიის ფასეულობებს არ გადაუხვევს და არ დაიჭერს საქმეს ქვეყანასთან, სადაც კაცობრიობის ფუნდამენტალური ღირებულებები ფეხქვეშაა გათელილი.

– ტრამპი რუსეთთან ბევრად უფრო ხისტია, ვიდრე ობამა, – თქვა რაიანმა.

სკრიპალისა და მისი ქალიშვილის მდგომარეობა მძიმეა

გრუ-ს ყოფილი ოფიცერი სკრიპალი და მის ქალიშვილი იულია, რომლებიც ბრიტანეთში რუსულმა სპეცსამსახურებმა მოწამლეს, კვლავაც ჰოსპიტალში იმყოფებიან.

ინგლისის პრემიერის ტერეზა მეის ცნობით, მათი მდგომარეობა მძიმეა.

– შესაძლოა, სრულად ისინი ვერასოდეს ვერ გამოკეთდნენ, – თქვა მეიმ.

სკრიპალი და მისი ქალიშვილი იცოცხლებენ, მაგრამ გონებასუსტობა ბოლომდე გაჰყვებათ.

პოლონეთის კონტრდაზვერვამ რუსი ჯაშუში დააკავა

პოლონეთის კონტრდაზვერვამ რუსი ჯაშუში დააკავა. მას მარეკი ჰქვია. გვარი ჯერჯერობით არ ხმაურდება. მარეკი ქვეყნის ენერგოსისტემაში მუშაობდა.

მან რუსებს გადასცა საიდუმლო ინფორმაცია, თუ როგორ აპირებს პოლონეთი პროექტ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის დაბლოკვას.

ბრიტანეთში რუსული ქონების დაყადაღებაზე ორდერი გაიცა

ესტონეთში ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი უილიამსონი ჩავიდა. მან ესტონეთის მთავრობას მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

– მსურს როგორც ესტონელებს, ასევე თქვენს მეზობლებს, ლატვიელებსა და ლიტველებს, უღრმესი მადლობა ვუთხრა, – თქვა უილიამსონმა.

ბრიტანელმა მინისტრმა აღნიშნა, რომ ინგლისში რუსი ოლიგარქები წლების მანძილზე თავიანთ ქონებას აბანდებდნენ.

– ეს ქონება საეჭვო წარმომავლობისაა და მას ყადაღა დაედება, – განაცხადა ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სილამაზის დედოფლებმა ჩინოსნებისა და ბიზნესმენების სექსმომსახურებისთვის იჩხუბეს

სილამაზის კონკურსის „მის ვენესუელის“ ორგანიზატორებმა დაიწყეს გამოძიება მისი მონაწილეების მიმართ უმსგავსი ქმედების ბრალდებასთან დაკავშირებით.

ეჭვი მას შემდეგ გაჩნდა, როდესაც სახალხოდ შეკამათდნენ „მის ვენესუელას“ კონკურსის ყოფილი მონაწილეები. კონკურსის დროს სილამაზის დედოფლები სოციალურ ქსელებში ერთმანეთს სექსმომსახურებას სდებდნენ ბრალად, რომლებსაც ისინი თითქოსდა კორუმპირებულ ჩინოსნებსა და ბიზნესმენებს უწევდნენ, ფულის სანაცვლოდ.

სკანდალმა ორგანიზატორები იძულებული გახადა დროებით დაეხურათ კარაკასის სავარჯიშო ცენტრი და „მის ვენესუელის“ კასტინგი და შედარებით ნაკლებად ცნობილი „მისტერ ვენესუელის“ მამაკაცების კონკურსი შეეჩერებინათ. ეს ყოველივე იქონიებს თუ არა გავლენას „მის ვენესუელის“ ჩატარების გრაფიკზე, უცნობია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პოლიციელი „მაკდონალდსის“ ლოგოტიპს თავს დაესხა

ამერიკის ორეგონის შტატის ქალაქ სუზერლინში, 37 წლის პოლიციელი თავს დაესხა „მაკდონალდსის“ რესტორნის ლოგოტიპს იმის გამო, რომ მისთვის 30 ბურგერის დამზადებაზე უარი მიიღო.

ჯედედაია ეზეკილ ფულტონმა „მაკდონალდსის“ ერთ-ერთ რესტორანში 30 ცალი ორმაგი ჩიზბურგერი შეუკვეთა. როდესაც დაწესებულების თანამშრომლებმა უარი განაცხადეს მისი შეკვეთის შესრულებაზე, ის განაწყენდა და სარეკლამო ბანერი დაგლიჯა, შემდეგ კი რესტორნის ლოგოტიპის დანგრევას შეეცადა.

პოლიციელმა დახლის მეორე მხარეს მყოფ გამყიდველს პერანგში სტაცა ხელი, რის შემდეგაც ერთ-ერთმა მომხმარებელმა ხულიგან სამართალდამცავს პისტოლეტი დაუმიზნა.

ფულტონს ხულიგნობის, დანაშაულებრივი ხელყოფის, ასევე ვანდალიზმის ბრალდება წაუყენეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის,ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

აიამ ლიდერობა შეინარჩუნა და ბაგრატი დააქვეითა

ბაგრატი-აია 5:45

რეგულარული პირველობის დასრულებამდე 2 ტურით ადრე ქუთაისის ბაგრატი დიდ 10-ს დაემშვიდობა და მომავალ სეზონს პირველ ლიგაში დაიწყებს.

ისე მოხდა, რომ მისი ბედი ქუთაისურ დერბიში გაირკვა. აიას პირველი ადგილისთვის, რაც მისთვის ფლეი ოფის ეტაპზე შედარებით მარტივი გზის მომტანი იქნება, ბონუს-ქულით მოგება სჭირდებოდა და თანაქალაქელი აუტსაიდერები არ დაინდო.

შეხვედრაში ორი ლელო გაიტანა ზურაბ ძნელაძემ, ჯამში, 13 გაუხდა და საუკეთესო მელელოვეთა დავაში ლოკომოტივის გარემარბ გიორგი შკინინთან ერთად ლიდერობს.

აიამ პირველ ტაიმში 28 უპასუხო ქულა აიღო. ლელოები გიორგი ტორაძემ, ძნელაძემ, ნიკა წივწივაძემ და თორნიკე მანაგაძემ გაიტანეს, ხოლო დავით ლოსაბერიძემ ოთხივე გარდასახა – 28:0.

შესვენებაზე აიამ 5 ცვლილება განახორციელა, თუმცა სურათი არ შეცვლილა და ძნელაძე შკინინს დებიუტშივე გაუტოლდა. დავით ჩაუჩიძემ ერთი ლელო მაღევე გაქვითა, დარჩენილ დროში კი შოთა არეშიძემ და მანაგაძემ გუნდს კიდევ 10 ქულა შესძინეს.

აია 45:5 მოგებით და 61 სატურნირო ქულით პირველ ადგილზეა, ხოლო ბაგრატმა ზედიზედ მე-11 თამაში დათმო.

ახმეტა-ლოკომოტივი 13:22

თბილისის ლოკომოტივმა მარნეულის არმაზს დასკვნით 15 წუთში 2 ლელო გაუტანა, 22:13 დაამარცხა და ბონუს-ქულით მოგების შემდეგ, მეორე ადგილზე დარჩა.

რუსთავი არენაზე გამართული მატჩის მოგების შემთხვევაში მარნეულელები ექვსეულში შესვლის შანსს შეინარჩუნებდნენ და საათზე მეტხანს გმირულად იბრძოლეს, თუმცა კარგად დაწყებული საქმის ბოლომდე მისაყვანად დენთი არ ეყოთ და გამარჯვება ფავორიტს დარჩა.

ანგარიში მე-16 წუთზე მასპინძლებმა გახსნეს – რეზი ჯინჭველაშვილმა 40 მეტრიდან არეკნი გაიტანა. ლოკომოტივმა ტემპს მოუმატა, გიგა გაგოშვილმა ხაზი გაჭრა და დაახლოებით 20 მეტრი ირბინა, რამაზ ხარაზიშვილის გავლით ფრთაზე ბურთი გიორგი შკინინს მიუვიდა და მისი შეჩერება ვეღარავინ შეძლო.

32-ე წუთზე არმაზმა უპირატესობა დაიბრუნა. ბექა ფრუიძის ფეხით შეცურებულ ბურთზე შკინინს ან ლაშა გედეხაურს უნდა ეთამაშათ, მაგრამ მცველებმა ერთმანეთს ვერ გაუგეს და თავისუფალი ბურთი თავად ფრუიძემ დაამინა. ჯინჭველაშვილმა რთული პოზიციიდან გარდასახა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ჯინჭველაშვილმა ჯარიმაც გაიტანა და მასპინძლები 13:5 დააწინაურა.

ლოკომოტივი გამოფხიზლდა და ორიოდე წუთში ფარნა გასვიანის ლელოთი უპასუხა, წიკლაურს გარდასახვა კვლავ გაუცუდდა და სხვაობა მხოლოდ 3 ქულამდე შემცირდა.

ეს ანგარიში 64-ე წუთამდე შენარჩუნდა, მერე კი მასპინძლებმა უხეში შეცდომა დაუშვეს, მცველები ბურთს არ გაუფრთხილდნენ, ლელოში დაუვარდათ და გიორგი ცუცქირიძემ დამიწება არ დააგვიანა. ამჯერად წიკლაურიც ზუსტი იყო. შეხვედრის მიწურულს სტუმრებმა შერკინებიდან გაშალეს შეტევა, ფლანგზე კვლავ შკინინი გაიქცა, მიმდინარე სეზონში თავისი მე-13 ლელო გაიტანა და ლოკომოტივს 22:13 მოგებით ბონუსიც მოუტანა.

ჯიქი-აკადემია 17:14

შეხვედრის დასრულებამდე 5 წუთით ადრე გორის ჯიქმა თბილისის აკადემიას გადამწყვეტი ლელო გაუტანა და 17:14 მოგებით მესამე ადგილი შეინარჩუნა.

შეხვედრა მასპინძლების შეტევით დაიწყო. ისინი მაღალ ტემპში

კომბინირებდნენ, რამდენჯერმე გაჭრეს მეტოქის დაცვის ხაზი და მე-8 წუთზე ლამაზი შეტევა ნიკა ბიწაძის ლელოთი დასრულდა, რასაც მამუკა ნინიძემ ზუსტი გარდასახვა მიაყოლა.

ტაიმის შუაში უკვე აკადემია გააქტიურდა, მეტოქის ნახევარზე დიდი დრო გაატარა და დავით მოძღვრიშვილმა ჯარიმა გაიტანა, მაგრამ იქვე ნინიძემ ჯარიმითვე უპასუხა – 10:3.

მეორე ტაიმი სტუმრების იყო, რომლებმაც ტემპს უმატეს, ფაქტობრივად, ყველა კომპონენტში უპირატესობა მოიპოვეს და სალელოვე შანსებიც მრავლად შექმნეს. დებიუტში ხაზი დავით ჩადუნელმა გაჭრა, ის ორმა მცველმა შებოჭა და ანზორ სიჭინავას დახმარებით ლელოს მაინც მიწვდა. მაგრამ ვიდეო-გამეორებაზე გამოჩნდა, რომ ლელომდე ჩადუნელმა თამაშის წესები დაარღვია.

სტუმრები არ მოეშვნენ, კაცნაკლულებმა ხაზი კიდევ რამდენჯერმე გაჭრეს და ამჯერად სიჭინავამ ლელო წესების დაცვით გაიტანა. მოძღვრიშვილს გარდასახვა გაუცუდდა, თუმცა 57-ე წუთზე აკადემია ჯარიმით დააწინაურა, ხოლო 72-ე წუთზე უპირატესობა 4 ქულამდე გაზარდა.

ორიოდე წუთში ჯიქმა გამარჯვების ლელო გაიტანა. გიორგი მჭედლიშვილმა ბიწაძეს მოედნის ცენტრში შესანიშნავი ოფლოუდი გაუხერხა, გარემარბი მაღალ სიჩქარეზე 2 მბოჭავს გაექცა და ნინიძემ გარდასახვით წერტილი დასვა – 17:14.

ბათუმი-ლელო სახასენსი 32:29

ეს გუნდები სატურნირო ცხრილში 4-5 ადგილზე იმყოფებიან და მათ ფლეი ოფში თამაშს საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ რეგულარულ სეზონს ეს გუნდები ასე დაასრულებენ, პლეიოფის პირველ ტურში, სწორედ, ბათუმი-ლელო შეხვდება ერთმანეთს და ზღვისპერელებს საკუთარი მოედნის უპირატესობა ექნებათ.

ლელო შეხვედრას სერიოზული დანაკლისით შეხვდა: ზოგი მორაგბე 20- წლამდელთა ნაკრების გაფართოებულ შეკრებაზე იმყოფება, ზოგიც 18- წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში 18-წლამდელთა რაგბი ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობს. აქედან გამომდინარე, პირველი ნახევარი ბათუმელთა სრული უპირატესობით წარიმართა. ზღვისპირელებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ შერკინებაში. ბათუმელები სწრაფად წმენდდნენ რაქებს და მთელი გუნდი სწრაფი რაგბის თამაშს ცდილობდა. პირველ ნახევარში ბათუმელთაგან ვანო ფუტკარაძემ და ზურაბ ერისთავმა შეძლეს თბილისელთა ჩათვლის მოედანში შეღწევა. თბილისელთა მთავარი პრობლემა სათამაშო დისციპლინა იყო. გუნდი გაუაზრებელ სიტუაციებში ჯარიმდებოდა, თანაც ისეთ ადგილას, საიდანაც ბათუმელთა დამრტყმელს, ბექა ურჯუკაშვილს, ჯარიმების გატანა არ გასჭირვებია.

მეორე ნახევარიც ზღვისპირელთა უპირატესობით დაიწყო და საწყის 10 წუთში ჯონდი კორტავასა და დავით ტრაპაიძის ლელოებით, რასაც ლაშა ხმალაძემ ერთი ზუსტი საჯარიმოც მიაყოლა, ბათუმი 24-ქულიანი უპირატესობით დაწინაურდა.

თუმცა ლელო სარასენსმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამ გუნდის ჩამოწერა არასდროს შეიძლება. თბილისელებმა მძლავრად შეუტიეს, ამას ისიც დაემატა, რომ რაქში ცინიკური თამაშისთვის შეხვედრის არბიტრმა ბათუმელთა ლეგიონერს ბერნადო ბოთას წითელი ბარათი უჩვენა და ზღვისპირელები მატჩის ბოლომდე რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ. მალევე მერაბ კვირიკაშვილმა ლელო დაამინა. ლელოელებმა მატჩის ბოლოს კიდევ ორჯერ შეძლეს ლელოს დამიწება, რომლებიც თორნიკე ბუბუტეიშვილსა და ლაშა ლორთქიფანიძის ანგარიშზეა, თუმცა დარჩენილ დროში მეტი ვერაფერი მოახერხეს და მატჩიც ასე დასრულდა 32:29 ბათუმელთა სასარგებლოდ.

ამ გამარჯვებით ზღვისპირელებს 50 ქულა დაუგროვდათ და კვლავ მეოთხე ადგილზე რჩებიან და უკვე 4 ქულით უსწრებენ მეხუთეადგილოსან ლელო სარასენსს.

ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი ქართველებმა მცირე ბრინჯაოთი დაიწყეს



რუმინეთის ქალაქ ბუქარესტში მიმდინარე ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე ქართულმა დელეგაციამ პირველი მედალი უკვე მოიპოვა. 56 კილოგრამ წონით კატეგორიაში გოდერძი ბერდელიძეს ატაცში ბრინჯაო ერგო.

უნდა ითქვას, რომ ბერდელიძემ პირველ დისციპლინაში სამიდან მხოლოდ ერთი ცდა გამოიყენა. ჩვენებურმა საწყისი წონა 112 კილოგრამი ვერ დაძლია, მეორე მისვლაზე აიღო, ხოლო 118 კილოგრამი ისევ გააცუდა. ატაცში ოქრო ესპანელ ჯოშუა ბრაჩს ერგო (116 კგ). აღსანიშნავია, რომ ესპანელმა პირველი ცდა დაძლია, შემდეგ ორი მისვლა კი უშედეგო იყო. მეორე ადგილზე გავიდა შარშანდელი ჩემპიონი, იტალიელი მირკო სკარანტინო – 115 კგ.

მეორე დისციპლინის შემდეგ ამ სამეულის დაშლა მხოლოდ რუმინელ ილია კონსტანტინ კიოტუს შეეძლო, რომელიც გასული წლის ბრინჯაოს პრიზიორი გახლდათ და ლიდერს – 6 კილოგრამით, ხოლო ქართველს 2 კილოგრამით ჩამორჩებოდა.

პირველი ფიცარნაგზე ბერდელიძე გავიდა და 134 კილოგრამი ვერ დაძლია, რაც ნიშნავდა, რომ ორჭიდის ჯამში მედლებისთვის ბრძოლა ჩვენებურს უკვე გაუჭირდებოდა. მართალია, მეორე მისვლაზე წონა უკვე წარმატებით დაძლია, მაგრამ...

პირველ ცდაზე კიოტუმ 137 კილო აკრა, სკარანტინომ და ბრაჩიმ – 138, რის შემდეგ ჩვენებურმა ორჭიდის ჯამში მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. მედლისთვის ბრძოლაში რომ დაბრუნებულიყო, ბერდელიძეს ბოლო, მესამე ცდაზე 140 კილო უნდა დაეძლია, მაგრამ ვერ მოახერხა და მხოლოდ მცირე ბრინჯაოს დასჯერდა.

არადა, 141 კილო ვერცერთმა ლიდერმა ვერ დაძლია, კიოტუმ იეშმაკა და უფრო მაღალი წონა შეუკვეთა, ბრაჩიმ და სკარანტინომ ვერც მეორე ცდაზე დაძლიეს 141 კილო, კიოტუს მესამე ადგილი განაღდებული ჰქონდა და 245 კილო შეუკვეთა, რომლის დაძლევა ჩემპიონობას ნიშნავდა, მაგრამ წონას ვერ გაუმკლავდა და ორჭიდის ოქრო ესპანელს ერგო.

რუმინეთი ახალ სარაგბო სკანდალში ეხვევა

რაგბის ევროპის თასზე ბელგია-ესპანეთის შეხვედრის შემდეგ არ წყდება საუბრები რუმინელი მსაჯის გადაწყვეტილებაზე. დიდი ეჭვი აქვთ, რომ რუმინელმა მსაჯმა თავისი თანამემამულეები მსოფლიო თასზე შეგნებულად გაიყვანა. თუმცა, კიდევ უფრო შორს მიდიან რუსები, რომლებმაც „აღმოაჩინეს“, რომ რუმინელებს სხვა დარღვევაც აქვთ.

თუ ის დამტკიცდა, რასაც რუსები ვლახებს ბრალად სდებენ, შესაძლოა, „მუხებმა“ არათუ 2019 წლის მსოფლიო თასის საგზური დაკარგონ, არამედ ევროპის 2017 წლის საჩემპიონო ტიტულიც მიაყოლონ და ის საქართველოს გადაეცეს.

მიზეზი კი სიონე ფაკაოსილეა, რომელიც რუმინულ კლუბ ბაია მარეში შუამარბად თამაშობს. წარმოშობით ტონგელ მორაგბეს „მუხებში“ დებიუტი 2017-წელს ჰქონდა, რუმინეთში გატარებული 3 წლის შემდეგ, სადაც 2014-ში გადაბარგდა. მაგრამ ჰქონდა კი ამის უფლება?

2013-14 წლების სეზონის 7-კაცას მსოფლიო სერიის პირველ ეტაპზე, რომელიც 2013 წლის 12-13 ოქტომბერს გოლდ კოსტში გაიმართა, სიონე ფაკაოსილეა ირიცხებოდა ტონგელთა 7-კაცა ნაკრების შემადგენლობაში. რუსებს ამის დამამტკიცებლად ვიდეოც (ტონგა-კენია) აქვთ დართული, რომელიც არცთუ მაღალი ხარისხისაა და მეორე ტაიმის დასაწყისში შეცვლაზე შესული ფაკაოსილეა ეკრანზე ახლო ხედით მხოლოდ ორჯერ ჩნდება, თან ორივეჯერ არცთუ საუკეთესო რაკურსით.

ამის დამტკიცება რთული არ იქნება, მაგრამ რა ხდება თუ ეს დამტკიცდა? მსოფლიო სერია მსოფლიო რაგბის ოფიციალური ტურნირია და მასზე ასპარეზობის შემდეგ ტონგელს მოქალაქეობასთან ერთად ნაკრების შეცვლაც არ შეეძლო. ამისთვის იყო საჭირო საერთაშორისო შეჯიბრებებში ტონგელთა ღირსების დაცვისგან 3-წლიანი თავშეკავება, შემდეგ კი, ოლიმპიური კვალიფიკაციის გავლა, გზად 7-კაცაში სულ ცოტა 2 ტურის თამაშის ფონზე. ამის გაკეთება მას არ შეეძლო, რადგან რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების შესარჩევი ტურნირი რუმინელთათვის იყო 7-კაცას ევროპის 2015 წლის გრან პრი.

მსგავსი ბოლოდროინდელი მაგალითი სწორედ რუსეთს ჰქონდა. არცთუ დიდი ხნის წინ რუსეთის ნაკრებში სწორედ ამ გზით მოვიდა ანტონ რუდოი, ხოლო ანალოგიური დარღვევისთვის „დათვები“ 2003 წლის მსოფლიო თასის კვალიფიკაციას ჩამოაშორეს.

რუსების ვარაუდით, რუმინეთის რაგბის ფედერაციამ ან დააიგნორა მოთამაშის ნატურალიზების წესები ან, უბრალოდ, არ იცოდა, რომ ფაკაოსილეა 7-კაცას თამაშობდა.

თუმცა, არსებობს ნიუანსები. რუმინეთის სუპერლიგის ვებგვერდზე, ტონგელის გადასვლის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიაში ვხედავთ, რომ მისი დაბადების თარიღი ბოლომდე არ ემთხვევა მის პროფილებს სხვადასხვა ოფიციალურ ვებგვერდებზე. ვინ არის სინამდვილეში სხვა სიონე ფაკაოსილეა? სეხნია-მოგვარე?

თუკი აღმოჩნდება, რომ ეს ერთი და იგივე ადამიანია, რუმინეთის ნაკრებს რაგბი ევროპის 2017 წლის ჩემპიონატზე ტექნიკური წაგებები საქართველოსთან, რუსეთთან და ბელგიასთან ჩაეთვლება, ასევე – 2018 წლის ყველა მატჩში.

თუ ასეთი შედეგი დადგა, რუსეთი პირდაპირ გავა 2019 წლის მსოფლიო თასზე (იმ შემთხვევაში, თუ ესპანეთისა და ბელგიის ნაკრებთა მატჩის გაპროტესტებულ შედეგს არ გააუქმებენ). ესპანეთი დარჩება მეორე ადგილზე, ხოლო საქართველო 2017 წლის საჩემპიონო ტიტულს დაისაკუთრებს.

არის ალტერნატიული ვარიანტიც: რუმინეთი, უბრალოდ, მოიხსნება მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირიდან. ამ შემთხვევაში კვალიფიკაციის ლიდერად ესპანეთი გამოცხადდება (22 ქულა), ხოლო რუსეთი მეორე ადგილზე გავა (20 ქულა).

ყველა ვარიანტში, მომავალი გამოძიება იქნება კოლოსალური დარტყმა რუმინული რაგბის იმიჯზე, რომელიც ბელგიისა და ესპანეთის მატჩის მსაჯობის შემდეგ ისედაც არცთუ საუკეთესო მდგომარეობაშია.

შედეგები

26 მარტი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

ბულგარეთი-ყაზახეთი 2:1
ფინეთი-მალტა 5:0
ალბანეთი-ნორვეგია 0:1
ჰოლანდია-პორტუგალია 3:0
უელსი-ურუგვაი 0:1

ეჩ-2019. შესარჩევი ეტაპი (21)

ბელგია-უნგრეთი 3:0
ჩრ.ირლანდია-ისლანდია 0:0

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

კადისი-უესკა 1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

პოლიტიკური სკანდალი ხელბურთში

20 წლამდე ასაკის ხელბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე პოლიტიკური სკანდალი დაფიქსირდა.

წილისყრის შედეგად მეხუთე შესარჩევ ჯგუფში მოხვდნენ სერბეთი და მისი ყოფილი ტერიტორია, კოსოვო. მასპინძლობის უფლება სერბებს ერგოთ და მათ ამაზე უარი არ უთქვამთ.

ჯგუფური ეტაპისთვის ქალაქ კრაგუევაცეს უნდა ემასპინძლა, მაგრამ სტუმართა უსაფრთხოებისთვის ბელგრადში გადაიტანეს. კოსოველები სამშობლოში მშვიდობიანად კი დაბრუნდნენ, მაგრამ ჯგუფის 6 შეხვედრიდან მხოლოდ 1 გაიმართა.

პირველ ტურში ნორვეგიამ 32:23 დაამარცხა სლოვაკეთი, ხოლო სერბეთსა და კოსოვოს ცარიელ, უმაყურებლო დარბაზში უნდა ეთამაშათ. თუმცა, პოლიტიკური ზეწოლის შემდეგ სერბეთის ნაკრებმა უარი თქვა თამაშზე და, ცხადია, შეჯიბრებიდან მოიხსნა. სერბეთის ფედერაციამ კოსოვოელებს არც ნორვეგიასთან და სლოვაკეთთან თამაშის უფლება მისცა. ეს 2 მატჩი მოგვიანებით გაიმართება სხვა ქვეყანაში.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ბრტყელი დედამიწის თეორიის მომხრე თვითნაკეთი რაკეტით აფრინდა

ბრტყელი დედამიწის არსებობის თეორიის მომხრე კალიფორნიელმა მაიკ ჰიუზმა თვითნაკეთი რაკეტით ფრენის განხორციელება შეძლო. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი სააგენტო ავრცელებს.

ჰიუზი ამტკიცებს, რომ ავტოფარეხში ააწყო „ორთქლზე მომუშავე“ საფრენი აპარატი. ლოს-ანჯელესიდან 320 კილომეტრში მან 520 მეტრის სიმაღლეზე ასვლა შეძლო. ის მიწაზე პარაშუტით დაეშვა აფრენის ადგილიდან დაახლოებით 450 მეტრში.

რაკეტის ცხვირი ჩამოვარდნის შედეგად ორად გაიყო. თავად მოყვარული პილოტი თითქმის არ დაშავებულა, ის მხოლოდ ზურგის არეში ტკივილის შეგრძნებას უჩივის.

როგორც ჰიუზმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, განხორციელებული ფრენის გამო თავს სრულიად დაკმაყოფილებულად გრძნობს.

– დავიღალე იმაზე საუბრებისგან, რომ შემეშინდა და რაკეტა არ ავაგე, ამ ყველაფრისგან დავიღალე. საკუთარი თავი ხელში ავიყვანე და ეს გავაკეთე, – განაცხადა მან.

61 წლის მამაკაცი ლიმუზინის მძღოლად მუშაობს, მაგრამ მეცნიერებითაა გატაცებული. პორტალ იუთუბიზე მან განათავსა მიმართვა, რომელშიც ამტკიცებს, რომ დედამიწა ბრტყელი ფორმისაა. პერსპექტივაში ის აპირებს შექმნას რაკეტა, რათა ეს თეორემა დაამტკიცოს.

ყველაზე ნელი იაპონური ატრაქციონი რელსებიდან გადავიდა

იაპონიაში რელსებიდან გადავიდა „ქვეყანაში ყველაზე ნელი ატრაქციონი“, თუმცა მის მგზავრებს ეს არც კი შეუმჩნევიათ, სანამ მისი შეკეთება არ დაიწყეს.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ ტოკიოს სპეციალურ რაიონ არაკავაში მოხდა. ატრაქციონის პირველი ვაგონის ბორბალი რელსიდან ადგილობრივი დროით დაახლოებით 13:30 საათზე გადავიდა და მისი მგზავრები შვიდი მოზრდილი და თორმეტი ბავშვი დედამიწიდან ხუთი მეტრის სიმაღლეზე გაიჭედნენ.

ერთ-ერთმა მგზავრმა, ოცდაათი წლის ქალმა, რომელიც ატრაქციონზე შვილთან ერთად იმყოფებოდა, განაცხადა, რომ ავარია არც კი შეუმჩნევია.

– ვაგონი ისე ნელა მოძრაობდა, რომ მისი გაჩერება ვერც კი შევამჩნიე, – განაცხადა ქალმა. მისი თქმით, პანიკაში მხოლოდ მას შემდეგ ჩავარდა, როდესაც პარკის თანამშრომლებმა ვაგონის მიწოლა და მის ბორბლებზე ჩაქუჩებისა ცემა დაიწყეს ისე, რომ მგზავრებისთვის არაფერი განუმარტავთ. საბოლოოდ მათ მაშველები გამოიძახეს და 50 წუთის შემდეგ ყველა მგზავრი ევაკუირებული იქნა. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

ქალთა კოლეჯის მოსწავლეების ქალებად მოხსენიება აიკრძალა

მასაჩუსეტსის ამერიკული ქალთა კოლეჯის პროფესორებს მოსთხოვეს მოსწავლეებთან საუბრის დროს მიმართვა „ქალი“ არ გამოიყენონ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მათი მოხსენიება მხოლოდ „სტუდენტებად“ უნდა მოხდეს.

მასწავლებლებს სთხოვეს, თავი შეიკავონ ისეთი გამოთქმებისგან, როგორიცაა, მაგალითად: „აქ ჩვენ ყველანი ქალები ვართ“ და გენდერობაზე საუბრისგან. ამისთვის კოლეჯის ხელმძღვანელობამ სპეციალური ინსტრუქცია გამოუშვა „ტრანს და არაბინარული სტუდენტების მხარდაჭერა და გენდერულ-ნიეტრალური გარემოს შესაქმნელად“.

აღსანიშნავია, რომ ამიერიდან კოლეჯში შეეძლებათ ისწავლონ არა მხოლოდ ქალებად დაბადებულებმა, არამედ მამაკაცებმაც, რომლებიც თავს ქალად მიიჩნევენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქალმა ფიკუსის ხის გადასარჩენად მასზე იქორწინა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ფორტ-მაიერსის მცხოვრება ქალმა სიმბოლური ქორწინება გააფორმა გიგანტურ ფიკუსთან, რათა ამით მისი მოჭრისთვის ხელი შეეშალა.

ქალაქის ხელისუფლებამ გადაწყვიტა მოეშორებინა უზარმაზარი ხე, რომლის ვარჯიც 740 კვადრატულ მეტრ ფართობს ფარავდა და რომლის ფესვებმა პარკის ფარგლებს გარეთ გააღწია და იმ მიწის ნაკვეთამდე მიაღწია, რომელიც გასაყიდადაა გამოტანილი. ადგილობრივები რამდენიმე თვის განმავლობაში ცდილობდნენ ხელისუფლების გადაწყვეტილების გაუქმებისთვის მიეღწიათ.

მიმდინარე წლის თებერვალში კერენ კუპერმა მოისმინა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მექსიკელი ქალები ხეებზე ტყეების ჩეხვის პროტესტის ნიშნად გათხოვდნენ. ქალმა ამის შესახებ ფიკუსის სხვა დამცველებს უამბო და იხუმრა, რომ ისინიც ასევე უნდა მოქცეულიყვნენ. მის იდეას ყველამ დაუჭირა მხარი.

ქორწილი კეთილმოწყობის სამსახურის კომისიის სხდომამდე სამი დღით ადრე გაიმართა. ამ სხდომაზე უნდა გადაწყვეტილიყო ხის ბედი. პარკში დაახლოებით 50-მა ადამიანმა მოიყარა თავი, ყვავილებით და საქორწინო ტორტით. კუპერმა და კიდევ რამდენიმე საქორწინო კაბაში გამოწყობილმა ქალმა ფიცი დადო, რომ ხეს პატივისცემით მოეპყრობიან და დაიცავენ. ბეჭდები მიუტანათ ძაღლმა სახელად პატარა დათვმა.

– თუ ისინი ამ ხეს მოჭრიან, მაშინ მე დავქვრივდები, – განაცხადა კუპერმა.

ქალაქის ხელისუფლებამ თანხმობა განაცხადა ხის შენარჩუნებაზე იფიქროს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბუკინისტი შეისყიდის

XVIII-XIX საუკუნის ძველებურ წიგნებს

1500 ლარად



ხელნაწერებს, ბრაპიურებს, ჟურნალებს, პლაკატებს, ბარათებს, საბავშვო წიგნებს, 1945 წლამდე საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუებს 200 ლარად, ასევე ვერცხლის ჭურჭელს.

591-75 35 38

ასტროპროგნოზი

28 მარტისთვის

ვერძი – კომერციული საქმიანობა იღბლიანად წარიმართება. გავლენიანი მფარველი ამაში დიდ წვლილს შეიტანს. **კურო** – პლანეტები კვლავ გმფარველობენ. სასიცოცხლო პოტენციალი ძლიერია. საქმიანი პარტნიორები მხარს გიჭერენ. **ტყუპები** – აქტიურობას ერიდეთ. არაკეთილისმყოფელი დღეა. თავი შეიკავეთ სხვისი პრობლემების მოგვარებისაგან. **კირჩხიბი** – ენერგიის მოზღვავებასა და შინაგან თავისუფლებას გრძნობთ. მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რომელშიც კარგად ერკვევით. **ლომი** – ნებისმიერი საქმე გამოგდით. თამამად და აქტიურად იმოქმედეთ. მეგობრებთან ურთიერთობა ოპტიმიზმს შეგმატებთ. **ქალწული** – თქვენი შემართება და შრომისმოყვარეობა დაუფასებელი არ დარჩება. შესაძლოა, საჩუქარი მიიღოთ. **სასწორი** – ძალებს გაუფრთხილდით. ენერგიის ფუჭად ხარჯვა რეკომენდებული არ არის. **ღრიანკალი** – ფინანსურ სფეროში დადებითი ცვლილებებია მოსალოდნელი, თუმცა გამორიცხული არ არის გაუთვალისწინებელი ხარჯებიც. **მშვილდოსანი** – წარმატებული დღეა. ბიზნესში გიმართლებთ. სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ. **თხის რქა** – ნებისმიერ საქმეს თავს გაართმევთ, ოღონდ ზომიერება დაიცავით. **მერწყული** – აქტიურობა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **თევზები** – შესაძლოა, ახალი, თქვენთვის უცნობი საქმის კეთება მოგიხდეთ. საბოლოო შედეგი მხოლოდ თქვენს კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სინათლის ნაწილაკი, სინათლის კვანტი; 2. მდინარე სვანეთში; 3. კინოცენტრი ინდოეთში; 4. ტვირთის შესანახი სათავსო გემზე; 6. თანამედროვე, მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 8. სქელი, ტყავისებრი ფოთლების მქონე ოთახის დეკორატიული მცენარე; 11. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 12. ქალაქი იმერეთში; 16. ტვირთბრუნვით ერაყის ყველაზე დიდი ნავსადგური; 17. შიკრიკი, ამბის მომტანი; 18. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო.

თარაზულად: 1. უძველესი ქართული ხალხური ცეკვა, რომელიც ახალი წლის პირველ დღეს სრულდებოდა; 5. შოკოლადის ხე; 7. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. ფრინველთა კვერცხების შემსწავლელი დისციპლინა; 10. ესპანელი მხატვარი; 13. მსხვილი სოსისი; 14. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 15. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ირანში; 19. ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი; 20. გასუფთავებული ნატეხი შაქარი; 21. კუთხე საქართველოში; 22. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. არაბული; 2. ვერმუტი; 3. ერზაცი; 4. გოეთე; 5. სელადონი; 7. კიი; 11. სონეტი; 15. კატრანი; 16. საკურა; 17. რუპია; 18. ამება; 20. როდეო; 22. ჯაკო.

თარაზულად: 6. რიბოკი; 8. თემშარა; 9. სპეკალი; 10. ბოლნისი; 12. მოცვი; 13. ელადა; 14. ოპონენტი; 19. ლოტბარი; 21. დურუჯი; 23. მარკა; 24. ფიზიკა; 25. ენოთეკა; 26. პაკჰაუზი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დიზაეიო; 2. გიენოსი; 3. პრეამბულა; 4. კუბაჩი; 5. ტიროლი; 9. ხომლი; 10. გვარდია; 14. კახიაშვილი; 15. დისპაშერი; 16. მთიელი; 19. თაკვერი; 20. სუდოკუ; 21. პლევრა.

თარაზულად: 6. დისტილატორი; 7. ქებურია; 8. ტანინი; 11. მორჩილი; 12. ფსოვი; 13. გურიელი; 17. ვიქტორინა; 18. ნეთანიახუ; 22. კუბრიკი; 23. ლელქაში; 24. ბრეტიორი; 25. სინაგოგა.

მწერალთა სახლმა პოეტ ნიკა ჩერქეზიშვილს სივრცის დათმობაზე უარი უთხრა

პოეტ ნიკა ჩერქეზიშვილს უზენაესმა სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა. უკვე სამი წელია, პოეტი სამართლიანობის აღდგენისთვის იბრძვის და სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებას აპროტესტებს. ნიკა საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტში სახელმწიფო შესყიდვების უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსად მუშაობდა.

ნიკა ჩერქეზიშვილი:

– უზენაესმა სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა ჩემს საქმეზე ისე, რომ არც განუხილავს. ფაქტობრივად იგივე გააკეთა სააპელაციომაც. სამი წლის განმავლობაში ვიბრძვი ამ უსამართლობის წინააღმდეგ, მაგრამ ამ ქვეყანაში სამართალი არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ფული, გავლენიანი გარემოცვა და ათასობით ძარღვგაწყვეტილი შუბლი. აბსოლუტური განუკითხაობა. სწორედ ამ საყოველთაო უპასუხისმგებლობის გამოა, რომ დღე არ გავა, რამე უბედურება არ მოხდეს, თუმცა სხვისი ჭირი სხვისი ჭირია მხოლოდ. საზოგადოება კასტრირებულია.

მნიშვნელობა არ აქვს, როგორ მოსპობს სისტემა კაცს, ლამისყანაში აიყვანს და დალეწავს თუ ასე, მოუჭრის ყველა გზას, რომ საკუთარ თავსა და ოჯახს მიხედოს. სისტემა ისევ კლავს. არ არსებობს იმაზე დიდი მარტოობა, როცა უამრავი სასარგებლო რამ შეგიძლია გააკეთო და ამის უფლება წართმეული გაქვს. ექცევი ვაკუუმში. ცხოვრებაც როგორ ეწყობა ასეთ დროს, ვიცით, ყველა აღმართში ყველა ქვა მოგეწევა ადამიანს. ჩემი ოჯახის წევრები ეწირებიან ამ ყველაფერს და ეს არის უდიდესი ფსიქოლოგიური წნეხი. მდგომარეობა ყოველდღიურად მძიმდება და უფრო და უფრო რთულად ასატანი ხდება. არ ვიცი, რა უნდა ვქნა. მართლა არ ვიცი.,

ნიკა ჩერქეზიშვილმა მწერალთა სახლს მიმართა სივრცის დათმობაზე, რაზეც ცივი უარი მიიღო:

– მწერალთა სახლმა უარი მითხრა სივრცის დათმობაზე. რა უნდა ვთქვა... არ მინდა ვინმეს გული ვატკინო, უარყოფით კონტექსტში ვახსენო, მაგრამ ხმის ამოუღებლობაც არ გამოდის.

არასოდეს მითქვამს პოეტი ან მწერალი ვარ-მეთქი და არც ადგილის დათმობის თხოვნით მიმიმართავს ვინმესთვის, რომ ჩემი ნაწერები საზოგადოებისთვის გამეცნო. ერთადერთი აქ, ჩემს კედელზე თუ დავწერ რამეს, ეს არის და ეს. არავის ვაწუხებ.

ასე რომ ეპასუხათ, რომელი მწერალი ან პოეტი შენ ხარო, მოვუხდიდი ბოდიშს და წამოვიდოდი ჩემს გზაზე, მაგრამ მათი უარი ჩემს თხოვნაზე, დაეთმოთ სივრცე, რათა საშუალება მომცემოდა შევხვედროდი მწერლებსა და მკითხველებს იმისთვის, რომ მესაუბრა საკუთარ ცხოვრებაზე, იმ უსამართლობაზე, რაც ახლა ჩემ გარშემო ხდება, უფრო მტკივნეული იყო, ვიდრე ის გადაწყვეტილება, რამდენიმე დღის წინ, უზენაესმა სასამართლომ საქმის განუხილველად რომ გამოიტანა.

უბრალოდ, ადგა და დაეთანხმა წინა ინსტანციების გადაწყვეტილებებს. იგივე გააკეთა მანამდე სააპელაციო სასამართლომაც და ერთ სხდომაში დაამთავრა პროცესი. სხდომის დაწყებამდე იცოდა სამივე მოსამართლემ, რა უნდა ექნა. ბუნებრივია, ეს ყველაფერი არის საშინლად დამთრგუნველი, მაგრამ მაინც არ უმოქმედია ჩემზე ისე ცუდად, ისე დამანგრევლად, როგორც მწერალთა სახლის დღევანდელმა პასუხმა იმოქმედა, ერთი საათით დაეთმოთ სივრცე, იქნებ, ერთობლივად, საერთო ძალით მოგვეხერხებინა რამე.

მივიღე ცივი უარი. მიპასუხეს, რომ მწერალთა სახლს არ ახსოვს პრეცედენტი, რომ ვინმეს ამ შენობაში ცხოვრებაზე ესაუბროს და ამას ვერც ახლა დაუშვებენ. მითხრეს, რომ მე მაქვს პრობლემები სახელმწიფოსთან, მწერალთა სახლიც სისტემის ნაწილია და დებულება უკრძალავთ, დამითმონ სივრცე. რაღა საზოგადოებრივი მაუწყებელი და რაღა ეს ორგანიზაცია, რომელსაც ასეთი სახელი ჰქვია, ბიუჯეტიდან ფინანსდება და ნაცვლად იმისა, რომ სამართლიანობის მხარეს დადგეს, სისტემის ინტერესებს იცავს.

ვის რაში სჭირდება ასეთი მწერალთა სახლი? ვის რაში სჭირდება ცხოვრებისგან მოწყვეტილი, ამპუტირებული ლიტერატურა? საბოლოოდ იქამდე მივალთ, რომ მხოლოდ მწერალ-პოეტები ივლიან ერთმანეთის საღამოებსა თუ წიგნის პრეზენტაციებზე და დაიკარგება კავშირი ხალხთან, სულერთი იქნება ერთი მეორისთვის.

ალბათ, დამცველები გამოუჩნდება ამ ინსტიტუტს, მაგრამ მათაც და იმ ადამიანებსაც, ვისზეც ჩემსავით ცუდად იმოქმედებს ეს ამბავი, ვეტყვი, რომ მართალი ვარ. მართალი ვარ ერთი ან ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით კი არა, ასით და ცოცხალი ვიქნები თუ მკვდარი, მოვა დრო და მაინც დამტკიცდება ეს.

არავინ მეპატიჟება, სახეზეც ამაფარეს კარი, მაგრამ ჩემი ფეხი არ იქნება ამ შენობაში, ვიდრე ასეთი მიდგომა ექნება მწერალთა სახლს. ვიდრე თანამდებობებისა თუ პრივილეგიების დაკარგვის შიშით, კარს მიუჯახუნებენ დახმარების სათხოვნელად მისულ კაცს.

იქნებ, რა უნდა ვთქვა. იქნებ, სისხლი გასხამს ყელში, ისეთ არაადამიანობასთან გაქვს საქმე. მწერალთა სახლი რომ ამას აკეთებს, რას იზამს სხვა სახელმწიფო ინსტიტუტი? მათი ეს გადაწყვეტილება არ გაანაწყენებს ვინმე ზემდგომს, მთავარი ეს არის და არა უშავს თუ სადღაც ვიღაცას სული ემსხვრევა.

მაინცდამაინც ფატალურად უნდა დასრულდეს ყველაფერი, სიკვდილითა და ჯოჯოხეთით, რომ ვინმემ თვალებში გამოიხედოს? ისეთ მდგომარეობაში ვარ, შორს აღარ არის ეს დღე. მწერალთა სახლი – ეს არის სირცხვილი!

მურმან ჯინორია და ლაშა ღლონტი ერთობლივ საღამოს გამართავენ

რუსთაველის თეატრის მსახიობი მურმან ჯინორია და მომღერალი ლაშა ღლონტი ერთობლივ შემოქმედებით საღამოს გამართავენ.

29 მარტს თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში შეკრებილი მსმენელი მომღერლისა და მსახიობის საინტერესო ტანდემს იხილავს.

კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 10-15 ლარია.

დინი ვირსალაძემ ახალი ალბომი ნიუ იორკში ჩაწერა

მუსიკოსმა დინი ვირსალაძემ თავისი ახალი ალბომი ნიუ იორკში ჩაწერა.

ალბომის პრეზენტაციას თბილისის ბიგ ბენდის წევრი 29 მარტს გამართავს და მელომანებს ჯაზის ალბომს წარუდგენს. მუსიკოსის ერთგული მსმენელები არტჰაუსში შეიკრიბებიან და ახალ კომპოზიციებს ექსკლუზიურად მოისმენენ, თანაც შეიძენენ დინი ვირსალაძის ალბომს მისივე ავტოგრაფით.

მუსიკოსის განმარტებით, ახალი ალბომი არის მუსიკალური დიალოგი ორ მუსიკოსს შორის პერკუსიონისტ მანოლო ბადრენასა და პიანისტ დინი ვირსალაძეს შორის.

დინი ვირსალაძე ნომერ პირველ ქალბატონად არის მიჩნეული ჯაზ მუსიკოსებში, რომელმაც ქართული ჯაზის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა.

გოგონამ მართვის მოწმობის გამოცდის ჩაბარების დროს კედელი გაანგრია

ამერიკელი გოგონა მართვის მოწმობაზე გამოცდის ჩაბარების დროს მანქანით კედელს შეასკდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული პორტალი ავრცელებს.

ინციდენტი მინესოტას შტატის ქალაქ ბაფალოში მოხდა. 17 წლის გოგონა გამოცდის პრაქტიკული ნაწილის ჩასაბარებლად მივიდა, მიუჯდა მანქანის საჭეს, მაგრამ გადაცემები აერია. იმის მაგივრად, რომ მანქანა უკანასკვლით წაეყვანა, წინ გააქროლა და სატრანსპორტო საშუალებების დეპარტამენტის შენობას შეასკდა.

შეჯახების შედეგად თავად გოგონა არ დაშავებულა, განსხვავებით მისი 60 წლის ინსტრუქტორისგან, რომელიც საავადმყოფოში იქნა მოთავსებული. თავად შენობაში არავინ დაშავებულა, თუმცა სერიოზულ შეკეთებას საჭიროებს. ასევე, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გოგონას წინააღმდეგ ბრალის წაყენება არ იგეგმება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მარიკა თხელიძეს უცნობი ადამიანები ფულად დახმარებას სთხოვენ

მომღერალ მარიკა თხელიძეს სრულიად უცნობი ადამიანები ფულად დახმარებას სთხოვენ. თხოვნამ იმდენად სისტემატური ხასიათი მიიღო, რომ მომღერალი ამ ფაქტით ძალიან შეწუხებულია.

მარიკა თხელიძე:

– არ შემიძლია არ ვთქვა... დღეს კიდევ ერთი ადამიანი შეემატა ადამიანთა იმ რიცხვს, რომელიც მთხოვს ფულადი დახმარება აღმოვუჩინო. მათი რაოდენობა ისე იზრდება დღითიდღე, რომ მეც ეჭვი შემეპარა უკვე საკუთარ შესაძლებლობებში, იქნებ ვარ მილიონერი და ვერ ვხვდები?!

ხალხნო, სურვილი მაქვს, ყველას გაგიწიოთ დახმარება, ვისაც ჩემგან რამე მცირეოდენიც კი სჭირდება და შემიძლია, ოღონდ ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში, დალოცვილებო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

შპს „თერგი-1“-ის კოლექტივი მწუხარებით იუწყება

ვახტანგ მიქაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

შპს „თი ელ ჯის“ კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს გიორგი მიქაძეს მამის

ვახტანგ მიქაძის

გარდაცვალების გამო.

შპს „ქალაქის გულის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ გიორგი მიქაძეს მამის

ვახტანგ მიქაძის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ორმოცი სევდიანი და ცრემლიანი დღე გავიდა ჩვენთვის და ძალიან ბევრისათვის საყვარელი ადამიანის

იმედო-ბორის გაბედავას

სააქაო წუთისოფლიდან სამარადჟამო დიდ სოფელში გარდასვლიდან.

კიდევ ერთხელ ვიზიარებ იმედოს დედის, დების და მათი ოჯახების ღრმა მწუხარებას. თანავუგრძნობ და გამძლეობას ვუსურვებ ჩემს დას ფატიკოს საყვარელი მეუღლის მოულოდნელი გარდაცვალების გამო. მადლობა ბორისის დიდ სამეგობროს თანადგომისთვის. მადლობა ყველას, ვინც დააფასა და უკანასკნელ გზაზე გააცილა მართლაც ღირსეული მამულიშვილი.

არ მეგონა, ჩემი შვილის შემდეგ, რომელიც ერთი წელია მოწამებრივი სიკვდილით აღესრულა, კიდევ ვინმეს გარდაცვალება ასე თუ შემძრავდა. ეს შენ დამმართე ბორა, ჩემო და ყველას საყვარელო ადამიანო. სიყვარულის სხივით ანთებდი ყველას. ბავშვები გიყვარდა ძალიან. დიდი ამაგი მიგიძღვის ჩვენი დიდი სანათესავოს ბავშვების აღზრდაში. როდესაც ამეცადინებდი, მხოლოდ მაშინ იყავი მკაცრი და მომთხოვნი, სანაცვლოდ ყველას ყველა სურვილს უსრულებდი, მუდმივად ახარებდი და ანებივრებდი მათ. ისინიც გიუდებოდნენ შენზე. ნეტა გენახა, ბორის, როგორი გულამომჯდარნი ტიროდნენ შენ გამო. მარტო ჩვენები არა, უბნის ბავშვებიც.

კეთილშობილი, ძალიან განათლებული, მაგრამ თავმდაბალი; ამაყი, მაგრამ არა პატივმოყვარე; ძალიან ალალი, საიმედო და უღალატო ნათესავი, მეგობარი, მოყვარე, მეზობელი – ასეთი იყავი შენ ყველასათვის, ჩემო ბორა!

ვახოს შემონათვალს გეტყვი ახლა: გადაეცით ბორას, გულში მიყვარს, გულშიო. ჩვენც ყველას, შენიანებს გულში გვიყვარხარ, ბორა!

შენ შენი დამსახურებით ყველასთვის გქონდა შენი ადგილი ჩვენს დაგლეჯილ გულებში. რატომ დაგლეჯილ? იცი შენ ეს, ბორა, ბევრი სიკვდილი გვჭირს ჩვენს დიდ ოჯახს, ჩვენს სანათესავოს – მოულოდნელი, ტრაგიკული, მოწამებრივი. ნეტავ, რისთვის, ღმერთო?

ჭიქას არ ასწევდი ბორის, უფლის სადიდებელი რომ არ გეთქვა. ეკლესიების რესტავრირებაზე მუშაობდი და განგების ნებით, თუ შენი გიორგის არჩევანით, ეკლესიის გვერდით მოგიზომეს ახალი სამოსახლო. მჯერა, უფალი შესაფერის სამარადჟამო სასუფეველს დაგიმკვიდრებს, ყველგან პირნათელო და შუბლნათელო, განუმეორებელო ადამიანო. ჩვენ კი, გავაგრძელებთ შენზე ლოცვებს.

მიყვარხარ, ბორა, ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე.

გემშვიდობები დროებით... იძინე მშვიდად. „ფიქრი შენს გზაზე დაგეშლია“...

ჩვენიანების სახელით, შენი ცისო (ასე მეძახდი შენ)

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

28 მარტისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.4298
- ევრო — 3.013
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4564
- 100 რუსული რუბლი — 4.2704

ამინდის პროგნოზი 28 მარტისთვის

20 მარტიდან

საქართველოს მეფეთა ისტორია

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

29 მარტიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

მყუდრო აგარაკის საიდუმლოება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ლიონელ მესი: „ან წელს მოვიგებთ მსოფლიო ჩემპიონატს, ან არასდროს“

არგენტინის ნაკრების ლიდერმა ლიონელ მესიმ ჟურნალისტებთან მსოფლიო ჩემპიონატზე ისაუბრა და თქვა, რომ არგენტინამ ან ახლა უნდა მოიგოს ეს ტურნირი, ან არასოდეს.

მესის აზრით, მის თაობას კიდევ ერთი შანსი აღარ მიეცემა.

– ვგრძნობ, რომ რაღაც დიდი გვიახლოვდება და მოუთმენლად ველი მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებას. მე, აგუეროს, დი მარიასა და ჩვენს თაობას ბოლო შანსი გვაქვს, რომ მსოფლიო ჩემპიონატი მოვიგოთ და ეს წელს უნდა მოხდეს. ფინალებში წაგების სამწუხარო ტრადიცია უნდა შეწყდეს, – განაცხადა ლიონელ მესიმ.

ლივერპულს ტიმო ვერნერის ყიდვა სურს

ლივერპულის მთავარ მწვრთნელ იურგენ კლოპს ლაიპციგის ფორვარდ ტიმო ვერნერის ყიდვა სურს, რომელიც გერმანიაში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება.

ვერნერის ტრანსფერში ლივერპული მზად არის, 100 მილიონი ევრო გადაიხადოს, თუმცა ოფიციალურად ეს ინფორმაცია ჯერჯერობით არ დასტურდება.

გარდა ამისა, ლაიპციგი ვერნერისთვის ახალ კონტრაქტს ამზადებს და შესაძლოა ტიმო გერმანიაში დარჩეს.

ვერნერის ყიდვით სხვა გუნდებიც არიან დაინტერესებული.

მანუელ ნოიერმა ვარჯიში დაიწყო

მიუნხენის ბაიერნისა და გერმანიის ნაკრების მეკარე მანუელ ნოიერმა ვარჯიში განაახლა და შესაძლოა ის მალე მოედანზეც ვიხილოთ.

ნოიერმა ტრავმა გასული წლის აპრილში მიიღო და ნორმალურად არ იმკურნალა, რის გამოც ტრავმა გაუმიზეზდა და უკვე ერთი წელია, მოედანზე არ გამოსულა.

მის არყოფნაში ბაიერნის კარს სვენ ულრაიხი იცავს, გერმანიის ნაკრებში კი მარკ ანდრე ტერ შტეგენი თამაშობს.

სერხიო ბუსკეტსი მოედანზე მალე დაბრუნდება

ბარსელონის ცენტრალური ნახევარმცველი, სერხიო ბუსკეტსი, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებდა, მოედანს მალე დაუბრუნდება.

ბუსკეტსმა ტრავმა ჩელსისთან შეხვედრის დროს მიიღო და მას ერთი თვე უნდა გამოეტოვებინა, მაგრამ, სავარაუდოდ, ბუსკეტსი ბარსელონის შემდეგ შეხვედრაში შეძლებს მოედანზე გამოსვლას.

ბუსკეტსი ბარსელონის ერთ-ერთი ლიდერია და ამ გუნდის ღირსებას 2008 წლიდან იცავს. ერნესტო ვალვერდეს თქმით, სერხიოს დაბრუნება ბარსელონისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ჩემი ქმარი ჭიანჭველასავით შრომობს.

– როგორ გაგიმართლა!

– არც მთლად მასეა საქმე.

– რატომ?

– ყოველდღე სახლში ტოტებსა და მკვდარ მუხლუხოებს მოათრევს.

•••

მამაკაცი პირველად გადმოხტა პარაშუტით, მოფრინავს და გადამცემში აღტაცებული ჩასძახის:

– რა სილამაზეა! თავისუფლების როგორი შეგრძნებაა! და იქ, ქვევით ადამიანები, როგორი პატარები არიან, ჭიანჭველებივით...

ამ დროს ყურსასმენებში ინსტრუქტორის ხმა ჩაესმის:

– დებილო, რგოლს ხელი გამოჰკარი, პარაშუტი გახსენი, ეგენი ადამიანები კი არა, მართლა ჭიანჭველები არიან...

•••

ბავშვი დედას ეკითხება:

– დედიკო, შეიძლება ადამიანს ეჩხუბო იმისთვის, რაც არ გაუკეთებია?

– არა, შვილო, რა თქმა უნდა, არა.

– ჰოდა, გაკვეთილები არ გამიკეთებია.

•••

ორი მეგობარი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, ახლახან გოგო ვნახე, ჭკუიდან შეგშლის! თვალები მკვახე ყურძნის მარცვლებივით მწვანე, ლოყები თურაშაულის ვაშლივით წითელი, ტუჩები ალუბლისფერი, ფიგურა მსხალივით. ბიჭო, რას ფიქრობ, შეყვარებული ვარ?

– შეყვარებული კი არა, ავიტამინოზი გაქვს, წადი და ხილი და ბოსტნეული ჭამე.

•••

კაციჭამიებმა ტურისტი დაიჭირეს, ხეზე მიაბეს, ცეცხლი დაანთეს, ზედ დიდი ქვაბი შემოდგეს, ერთ-ერთი კი ტურისტს ეკითხება:

– რა გქვია?

– რა მნიშვნელობა აქვს, მაინც უნდა შემჭამოთ და!..

– როგორ თუ რა მნიშვნელობა აქვს, ეს მენიუსთვისაა!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

22 მარტიდან

180 ამბავი

ილია ჭავჭავაძე

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

28 მარტიდან

130 ამბავი

ლუდი



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ნანი ბრეგვაძე 28 მარტს მოსკოვში აღარ იმღერებს

ქართველი მომღერალი ნანი ბრეგვაძე 28 მარტს მოსკოვში, კროკუს სითი ჰოლში აღარ იმღერებს. ინფორმაციას საკონცერტო დარბაზის ოფიციალური გვერდი ავრცელებს და განმარტავს, რომ ქართველი მომღერლის კონცერტი 5 ივნისისთვის არის გადატანილი.

მოსკოვში დაგეგმილ კონცერტში ნანი ბრეგვაძესთან ერთად მონაწილეობა უნდა მიეღო ეკა მამალაძეს, ვალერი მელაძეს, ნინო ქათამაძეს და თამარ გვერდწითელს. საკონცერტო ნაწარმოებები კი სიმფონიურ ორკესტრს უნდა შეესრულებინა ნიკოლოზ რაჭველის ხელმძღვანელობით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დანი ალვეში: „ფელიპე კოუტინიო ნეიმარზე ნაკლები არ არის“

ბრაზილიის ნაკრებისა და პსჟ-ს მცველმა დანი ალვეშმა ფილიპე კოუტინიო შეაქო და თქვა, რომ ის ნეიმარს არაფრით ჩამოუვარდება.

ალვეშის აზრით, კოუტინიოსთვის ბარსელონაში გადასვლა წინ გადადგმული ნაბიჯია:

– ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, რომ კოუტინიო ბარსელონაში გააგრძელებდა კარიერას. ის ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია და ნეიმარს არაფრით ჩამოუვარდება. ნეიმარი და კოუტინიო ბრაზილიის ნაკრების მთავარი ფეხბურთელები არიან.

ალვეშმა ასევე აღნიშნა, რომ ბრაზილიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია.

ჯოსვოიდი ↓



შვეულად: 1. ძალზე ხელმომჭირნე ძუნწი ადამიანი; 2. ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფიით კილაძის მუსიკაზე შექმნილი ბალეტი; 3. თიხის ჭურჭლის მკეთებელი ოსტატი; 4. სააღდგომო ნამცხვარი; 5. ტურისტთა მეგზური, გიდი იტალიაში; 7. ტროპიკებში გავრცელებული მახრჩობელა გველი; 11. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. გემთმშენებლობის ცენტრი უკრაინაში; 16. პიპინაშვილის საბავშვო მხატვრული ფილმი; 17. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი; 18. შაქრის წარმოების ცენტრი საქართველოში; 20. ხორცის შესაწვავი, მბრუნავშამფურებიანი ელექტროღუმელი; 22. ტბა თბილისში.

თარაზულად: 6. პატარა ავსტრალიური კენგურუ; 8. ნახევარკუნძული ევროპაში; 9. საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი, ნაციონალური მოძრაობის წევრი შუა აზიაში; 10. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 12. საქართველოში მზარდი ტროპიკული მცენარე, რომლის ნაყოფისაგან ამზადებენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს; 13. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 14. ტკბილი წვენებით შეზავებული სპირტიანი სასმელების ნარევი; 19. გერმანელი მეცნიერი, რომელსაც პირველს მიენიჭა ნობელის პრემია ფიზიოლოგიის დარგში; 21. დაკოდილი მამალი ცხვარი; 23. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 24. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 25. ზღვისპირა კურორტი სამეგრელოში; 26. ღია ლურჯი ფერი ცის ეპითეტი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა